# ალია

50 თ


## გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ გაფრთხილებთ:

1. მიეცით აცილება მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს — მისი განაჩენი შესაძლოა, უსამართლო აღმოჩნდეს!!!

2. ყურადღებით ნახეთ, სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოში“ საყიდელი პროდუქტი ხომ არ ყარს?


N66/2996/ 2-5 მაისი 2014 წ

ფასი 50 თ

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია


„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი


გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE


### რა უფრო მომგებიანია საქართველოსთვის, ევრაზიულ საბაჟო კავშირში შესვლა, თუ ევრო კავშირში?



### რატომ „ღარტყა“ პრემიერ-მინისტრმა არასამთავრობოებს?!



### მამა ბასილი მკალავიშვილი: „რატომ მიწა არ იწვის მათ ნაფეხურებზე. რა შეურაცხყოფაც ჯალათმა სააკაშვილმა დააკლო ქართველ ერს, ის სისრულეში ახალმა ხელისუფლებამ მოიყვანა“



### „მალე საქართველოში იქნება ტერორისტული აქტები“



რისთვის შექმნეს კიტოვანმა, უშიშროების გენერალმა ბაქრაძემ და შს ექსმინისტრმა რომან გვენცაძემ ანტიტერორისტული ორგანიზაცია

### მამა ელიზბარი: „დედა პარასკევამ მამა გაბრიელის საფლავი შემოსავლის წყაროდ აქცია“



### ქურდების ნებართვის გარეშე ციხეებში შიმშილობის დაწყების უფლებას არ აძლევენ?!



### ვალერი გელბახიანი: „უსუფაშვილი იტყუება...“



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### თეა წულუკიანი მოსახლეობას მოუწოდებს, იუსტიციის სახლებს სასწრაფოდ მიმართონ



საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით, გაყალბებულ პირადობის მოწმობებთან და სხვა სააქტო ჩანაწერებთან დაკავშირებით ამნისტია მოქმედებს.

„ყველა მოქალაქეს მოვუწოდებ, სასწრაფოდ მიმართონ სერვისების განვითარების სააგენტოს, იუსტიციის სახლებს, რათა მათ წინააღმდეგ არ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. ყალბი დოკუმენტები უნდა გაუქმდეს და ჩვენ ერთ ადამიანზე ერთი დოკუმენტი მივიღოთ. დღესვე, ყველა მოქალაქემ ჩახედოს თავის პირადობის მოწმობას, და თუ იქ უწერია უმისამართო, შეუძლიათ 1 თვის მანძილზე მობრძანდნენ და აიღონ ახალი, უკვე მისამართით რეგისტრირებული პირადობის მოწმობა. ეს არ არის, უბრალოდ, საკუთარ თავზე ზრუნვა, რაც, აგრეთვე, მისასალმებელია, ეს არის ქვეყნის მომავალზე და იმ საარჩევნო სიაზე ზრუნვა, რომელიც განვითარებისთვის მნიშვნელოვანია“, — აცხადებს წულუკიანი. (კვირა)

### როდის შეძლებს ამომრჩეველი საარჩევნო სიებში საკუთარი მონაცემების ნახვას?



სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ცესკო-ს ამომრჩეველთა შესახებ განახლებული მონაცემები გადასცა. მასალაში 3, 553, 673 პოტენციური ამომრჩევლის მონაცემებია ასახული.

ცესკო მათ მიერ წარმოდგენილ საარჩევნო უფლების მქონე პირთა მონაცემებს, კანონით დადგენილ ვადებში საარჩევნო ოლქებისა და უბნების მიხედვით დაამუშავებს და გამოაქვეყნებს მის საჯარო ვერსიას. საოლქო საარჩევნო კომისიები, მონაცემებს, გამოკვრის მიზნით, საუბნო კომისიებს 16 მაისს გადასცემენ, სადაც ამომრჩევლებს უკვე საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეეძლებათ. (ინტერპრესნიუსი)

**აქვს თუ არა საპატიმრო დაწესებულებაში სისტემური დანაშაულის ფაქტებს ადგილი? წამების რა ახალი ფაქტები არსებობს და რა ინფორმაციები ჟონავს ციხეებიდან?**

**„ალიას“ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელი ალეკო ცქიტიშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო ალეკო, რა კონკრეტული ფაქტების გამოქვეყნებას აპირებთ, რითაც ადასტურებთ, რომ წამებისა და არაადამიანური ფაქტების არსებობა ციხეებში ნამდვილად დასტურდება?**

– მთავარი აქცენტი ამ შემთხვევაში, რაზეც გვინდა აქცენტის გაკეთება, არის ის, რომ ბოლო დროს გახშირდა პატიმრების ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. ეს კონკრეტული ფაქტები დაფიქსირდა ჩვენი ადვოკატების წარმოებაში არსებულ საქმეებში. ეს ტენდენცია არის შემაშფოთებელი, რამდენადაც, ზოგადად, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საპატიმროებში ვითარება გამოსწორდა. ვგულისხმობ იმას, რომ წამება, როგორც სისტემური დანაშაული, არ არსებობს, მაგრამ ბოლო დროს იმდენად შემაშფოთებელია ის, რომ სახელმწიფო, კონკრეტულად კი, სასჯელაღსრულების სამინისტრო, გენერალური ინსპექცია და პროკურატურა არანაირ რეაგირებას არ ახდენს იმ შემთხვევებზე, რაც ფიქსირდება ბოლო პერიოდში პატიმრების ცემისა და არაადამიანური მოპყრობის კუთხით. ამ ფაქტებმა უკვე შეიძლება მიიღოს ტენდენციური ხასიათი და ჩვენს ქვეყანაში მივიღოთ პატიმრების წამება, როგორც სისტემური დანაშაული. თუკი არ მოხდა იმ მოძალადეების დასჯა, რომლებიც საკუთარ თავს უფლებას აძლევენ, პატიმრებს მოეპყრონ სასტიკად, აწამონ, სცემონ, ამ შემთხვევაში სახელმწიფო კვლავ მიიღებს იმას, რაც მიიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ.

ჩვენ წარმოვადგენთ კონკრეტულ ფაქტებს. გენადი ჯელაძის ფაქტი მინდა გაგაცნოთ. ის დიზაინერი ლიკა ყაზბეგის მეუღლეა. ის გახდა ცემისა და დამცირების ობიექტი, რომელიც მოხდა სულ ახლახან სასჯელაღსრულებების მე-17 დაწესებულებაში.

ასევე რამდენიმე თვის წინ მოხდა პატიმარ ამირან ფატოევის ცემის ფაქტი, სასტიკად გაუსწორდნენ მას, ეს მოყვა პატიმრების შიმშილობის აქციას, წინა წლის დასასრულს. მაშინ ეს პატიმარი გამოიყვანეს მხოლოდ იმის გამო, რომ ის პროტესტს გამოხატავდა და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანისას მას ასევე დამატებით გაუსწორდნენ ფიზიკურად.

**— საუბრობენ იმაზე, რომ პატიმრების აღრევა ხდება, ანუ ქურდები და მკვლელები ერთ საკანში, ერთ ციხეში არ შეიძლება ცხოვრობდნენ, ასეთი ფაქტები იმიტომ ხდებაო.**

– მე შემიძლია მოგიყვანოთ იგივე გენადი ჯელაძის შემთხვევა. როცა მან განუცხადა ადვოკატს შიმშილობის შესახებ, მასთან მივიდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები და ჰკითხეს, თუ არის ეს შენი შიმშილობის აქცია შეთანხმებული ქურდებთანო. ეს არის ძალიან შემაშფოთებელი შემთხვევა, როცა ციხის ადმინისტრაციისა და ქურდული სამყაროს გადაჯაჭვა ხდება ერთმანეთთან. გამოდის, რომ მათი ინტერესებიც საერთოა, როგორც ეს ადრე, წინა წლებში ხდებოდა. პატიმრის დაშინება, თითქოსდა ქურდები ჩაერეოდნენ იმ შიმშილობის აქციაში და გააკონტროლებდნენ ამ ფორმით, ეს არის საგანგაშო.

**— რა გამოდის, ქურდები ისევ მართავენ საპატიმროებს?**

– ნამდვილად არ მაქვს დადასტურებული ინფორმაცია იმაზე, რომ ქურდები ძველებურ გავლენებს ფლობენ, მაგრამ ვამბობ, რომ ასეთი ერთეული შემთხვევები, რაზეც გესაუბრებით, ისეთ შემაშფოთებელ ხასიათს იძენს, არსებობს საშიშროება, ამან სისტემური სახე მიიღოს არცთუ ისე შორეულ მომავალში. გვაქვს ყოველდღიური ურთიერთობა პატიმრებთან, იგივე გეგუთის ციხის პატიმრებთან და ისინი წერილებში საუბრობდნენ.

**— რაო, რას გწერენ?**

– განსაკუთრებით ჯანმრთელობის პრობლემებზე გვწერენ, როცა არ ხდება რეაგირება ამაზე, როცა სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი არ ახდენს დროულად მედიკამენტების მიწოდებას. არ ხდება მათი გადაყვანა სამკურნალოდ. სამინისტრომ გადადგა ნაბიჯები და არის პრევენციის ზომებიც მიღებული, მაგრამ, როგორც ჩანს, არაა საკმარისი ეს ზომები, პატიმრები დროულად დახმარების აღმოჩენას ითხოვენ. 25 წლის პატიმარი გარდაიცვალა, სიკვდილამდე გვწერდა, რომ ცემისა და წამების შედეგად ჯანმრთელობა დაუზიანდა და ახალგაზრდა, იმის გამო, რომ სახელმწიფომ დროულად არ აღმოუჩინა დახმარება, ის გარდაიცვალა. მხოლოდ დიაგნოსტიკური ოპერაცია არ აღმოჩნდა საკმარისი.

**— თუ მიმართეთ კონკრეტულად სამინისტროს და პროკურატურას ამ ფაქტებზე? რას აპირებთ?**

– რა თქმა უნდა. ჩვენ ოფიციალურად მივმართეთ გენერალურ ინსპექციასაც და პროკურატურასაც. დღემდე, სამწუხაროდ, გამოძიება ადგილიდან არ დაძრულა. რაც შეეხება სახალხო დამცველის აპარატს, პატიმრებს უკვე ესაუბრნენ, მოკვლევა დაწყებულია, მიმართვა და რეკომენდაციები უკვე გაცემული აქვს.

# ქურდების ნებართვის გარეშე ციხეებში შიმშილობის დაწყების უფლებას არ აძლევენ?!



ჩვენი შეშფოთება იმითაა განპირობებული, რომ ეს ფაქტები არის მასობრივი ხასიათის და ქმნის იმის პირობას, რომ სისტემურ სახეს მიიღებს.

**„ალია“ კომენტარისთვის სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელს თაია მახარაშვილს დაუკავშირდა:**

„მე უკვე გავეცანი მათ მიერ გაკეთებულ განცხადებას, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ლიკა ყაზბეგის მეუღლის გარდა, ისინი ასახელებენ კიდევ ორ პირს და ამტკიცებენ, რომ მათ საქმეებზე გამოძიება დაწყებული არაა და არავის მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, არც ის ფაქტები შეუსწავლია, რაზეც ისინი ყურადღებას ამახვილებენ. ამ ადამიანებზე დიდი ხანია გამოძიება დაწყებულია და პროკურატურა იძიებს. ასე რომ, მათ უნდა გადაამოწმონ ის ინფორმაცია, რასაც ავრცელებენ, რადგან გამოძიება უკვე დაიწყო“.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოში პრესის თავისუფლების კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესდა



საერთაშორისო ორგანიზაცია **Freedom House**-ს მონაცემებით, საქართველოში პრესის თავისუფლების კუთხით მდგომარეობა ორი ქულით გაუმჯობესდა. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველომ 47 ქულა მიიღო და 197 ქვეყანას შორის 93-ე ადგილი „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნებს შორის დაიკავა. 1999 წლის შემდეგ ეს საუკეთესო მაჩვენებელია.

2013 წელს პრესის თავისუფლება საქართველოში 47 ქულით შეფასდა. სწორედ ამ წელს მიიღო ქვეყანამ ბოლოს 47 ქულა. მასზე დაბალი ბოლო წლებში არ დაფიქსირებულა. ამ პერიოდიდან დღემდე ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 2007-2008 წლებში იყო, როდესაც საქართველომ 60 ქულა მიიღო. მას შემდეგ **Freedom House**-ს მონაცემებით, პრესის მდგომარეობა საქართველოში უმჯობესდება.

2012 წელს საქართველოს 49 ქულა ჰქონდა. როგორც **Freedom House**-ი აღნიშნავს, სიტუაციის 2 ქულით გაუმჯობესება კანონმდებლობაში „მასთ ქერის“ ვალდებულების გაჩენამ გამოიწვია. ცვლილება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში 2012 წელს შევიდა და საკაბელო კომპანიები ვალდებულები გახდნენ, საკუთარ პაკეტში საერთო მაუწყებლები ჩაესვათ.

საქართველოს მეზობელი ქვეყნები თურქეთი და სომხეთი 134-ე ადგილს იკავებენ, რუსეთი 176-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი კი რეიტინგში 183-ე პოზიციაზეა.

პრესის თავისუფლების მხრივ, ყველაზე ცუდი შედეგის მქონე ქვეყნებად რჩებიან ბელორუსი, კუბა, ეკვატორული გვინეა, ერიტრია, ირანი, სამხრეთ კორეა, თურქმენეთი და უზბეკეთი. მათი ქულები 90-დან 100-მდე მერყეობს.

საუკეთესო შედეგი აქვთ ჰოლანდიას, ნორვეგიასა და შვედეთს. ისინი პირველ ადგილს იყოფენ.

კვლევაში სულ 197 ქვეყანა მონაწილეობდა. აქედან 63 (32%) პრესის თვალსაზრისით შეფასდა როგორც „თავისუფალი“, 68-მ (35%) მიიღო „ნაწილობრივ თავისუფალის“ შეფასება, 66 მათგანი კი (33%) „არათავისუფალ“ ქვეყნებს შორის მოხვდა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან პატიმართა წამება გრძელდება

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ პატიმართა ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებას მოითხოვს და მიმართავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, მთავარ პროკურატურას, მოახდინონ ადეკვატური რეაგირება და დროულად დაიწყონ გამოძიება.

„რუსთავის №6 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდადებული, გენადი ჯელაძე აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში მასზე მუდმივად ხორციელდებოდა ზეწოლა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, შოთა თორაძისა და საპატიმროს ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან. ისინი მოითხოვდნენ, პატიმარს შეეწყვიტა ჩივილი მის მიმართ წინა წლებში განხორციელებულ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე. მსჯავრდადებული აცხადებს, რომ 27 აპრილს იგი გააშიშვლეს და №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაშიშვლებული გადაიყვანეს №6 დახურულ დაწესებულებაში. დამამცირებელი მოპყრობის გამო პატიმარმა მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. იგი მოითხოვს №17 ღია ტიპის დაწესებულებაში დაბრუნებას, ასევე მის მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას. მათ შორის მსჯავრდადებული ასახელებს შოთა თორაძეს, რომელიც წინა წლებში №2 სასჯელაღსრულების დირექტორი იყო და პატიმრის თქმით, უშუალოდ მონაწილეობდა მის წამებაში.

მსჯავრდადებულ გიორგი ოგანეზოვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 28 მარტს, გლდანის №8 დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის ნულ სართულზე იგი სცემეს ამავე დაწესებულების თანამშრომლებმა, გიორგი ფიფიამ და ვინმე რამაზმა. მისივე ინფორმაციით, ცემაში ასევე მონაწილეობდნენ სპეცრაზმის თანამშრომლები. მსჯავრდადებულს სცემდნენ ფეხებით მუცლისა და სახის არეში. გიორგი ოგანეზოვს აღენიშნება სხეულის დაზიანებები. ცემის შემდეგ პატიმარი გადაიყვანეს №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. 22 აპრილს ადამიანის უფლებათა ცენტრმა მსჯავრდადებულ გიორგი ოგანეზოვის ცემის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და მთავარ პროკურატურას.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ იანვარში ადამიანის უფლებათა ცენტრმა სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და მთავარ პროკურატურას რუსთავის №17 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდადებულის, ამირან ფატოევის ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზეც მიმართა. თუმცა, ამ კუთხით, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ქმედითი ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი შეშფოთებას გამოხატავს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდადებულთა ცემის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გამო. ეს შემთხვევები მით უფრო შემაშფოთებელია, რომ მსჯავრდადებულები გიორგი ოგანეზოვი, გენადი ჯელაძე და ამირან ფატოევი წინა წლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლები არიან.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ასევე მოითხოვს, გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერდეთ იმ პირებს, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს პატიმართა არაადამიანურ მოპყრობაში და ამავე დროს, კვლავ შეუძლიათ, ზეწოლა მოახდინონ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ დაზარალებულებზე“, – ნათქვამია ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

„ალიას“ ესაუბრება ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილი მკალავიშვილი:

# მამა ბასილი მკალავიშვილი: „რატომ მიწა არ იწვის მათ ნაფეხურებზე. რა შეურაცხყოფაც ჯალათმა სააკაშვილმა დააკლო ქართველ ერს, ის სისრულეში ახალმა ხელისუფლებამ მოიყვანა“



„სწორედ ამიტომ გამატარებინეს თითქმის ხუთი წელი საპყრობილეში, რამეთუ ყოველნაირად ვცდილობდი, შემეჩერებინა სექტანტების, განსაკუთრებით იელოველთა სექტის აღვირახსნილობა და პროზელიტიზმი, იმასაც აღვნიშნავდი, რომ ბოლოს საპატრიარქოს კარს მიუკაკუნებდნენ. სავალალოდ ეს დღეც დადგა“

– მე, როგორც სასულიერო პირი, შეძრწუნებული ვარ სულიწმიდის ისეთი გმობით, რომელიც დღეს სუფევს საქართველოში. წინა საუკუნეებში წმიდა მამები გვამცნობდნენ, რომ ბოლო ჟამს აულებელ ბასტიონს – მართლმადიდებლობას შეუტევენ. მსოფლიოს ანტიქრისტიანული ბნელი ძალები, რომლებიც დასაყრდენს მათ მიერვე შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებში ჰპოვებენ ვაიქართველების სახით. ისინი მათ უსაზღვროდ აფინანსებენ, სამაგიეროდ ხელთ იგდეს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა გოჯი მიწა, წინაპართა ძვლებით გაპოხიერებული, ღვთივბოძებული ბუნებრივი რესურსებით, დაიპყრეს მატერიალურად შეჭირვებული, დაბეჩავებული ხალხის გონება სხვადასხვა აგენტურული სექტების მეშვეობით, შემოგვისიეს ათასი ჯურის გადამთიელი ერის ასიმილაციის მიზნით, გარყვნის, სიბილწის, სოდომის გზას გაუყენეს ახალგაზრდობის უმრავლესობა, მოშალეს განათლების სისტემა, ყოველგვარი ცხოვრებისეული პირობები, ცდილობენ, ქართველის ცნობიერებაში დავიწყებას მიეცეს ყოველივე ტრადიციული, ეროვნული და ზნეობრივი, წარხოცონ, ვინ ვიყავით, როგორი ძირძველი ისტორიისა და წარსულის მქონე ერი, მოსპონ ის სიწმინდე, რომელიც ღვთის განგებით ყოველივე ქართველის ოჯახში სუფევს, თითქმის აღასრულეს ყველა ის პუნქტი, რომელიც ჩადებულია მასონთა გეგმებში. ყოველივე ამის აღსრულება აქტიურ ფაზაში შეიყვანა სისხლის მსმელმა, ქართველთ მოძულე სააკაშვილმა, ახლა კი მის გზას „ღირსეულად“ აგრძელებს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება. ის ხელისუფლება, რომელსაც ერთხელ კიდევ ენდო ერი, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით.

**— მამაო, მინდა ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტზე გკითხოთ, რომელსაც ერთი მოსმენით მხარი დაუჭირა თითქმის მთელმა პარლამენტმა და უსუფაშვილმა პირდაპირ განაცხადა, ტერმინი ახალი არ არის და აუცილებლად მივიღებთო.**

– მე, როგორც ერთი უბრალო მღვდელი, ათეული წლების წინათ ხმამაღლა ვაცხადებდი საეკლესიო კრებებზე თუ ამბიონიდან იმას, რაც ხდება ჩვენ თვალწინ, მაგრამ არავინ მისმენდა. სწორედ ამიტომ გამატარებინეს თითქმის ხუთი წელი საპყრობილეში, რამეთუ ყოველნაირად ვცდილობდი, შემეჩერებინა სექტანტების, განსაკუთრებით იელოველთა სექტის აღვირახსნილობა და პროზელიტიზმი, იმასაც აღვნიშნავდი, რომ ბოლოს საპატრიარქოს კარს მიუკაკუნებდნენ. სავალალოდ ეს დღეც დადგა. მთელი მსოფლიოს მასონურ ძალთა ცქერა მართლმადიდებლობისკენაა მომართული, მათ ჩვენ ვეზიზღებით, იმიტომ რომ მართლმადიდებლები ვართ. დღეს ყველაზე აღმაშფოთებელი ფაქტი კი ის არის, რომ პარლამენტარების მთელმა შემადგენლობამ ერთი მოსმენით მხარი დაუჭირა ამ სამარცხვინო პროექტს. გარწმუნებთ, იმ შემთხვევაში, თუ ანტიდისკრიმინაციული კანონი დამტკიცდა, ეს ფაქტი დიდ არეულობას გამოიწვევს. აშკარად იკვეთება, რომ მათ მთავარი სამიზნე სარწმუნოების აღმოფხვრაა. სწორედ ამ კანონის დამტკიცებაა ერთ-ერთი დავალება, რათა ევროკავშირში მოვხვდეთ როგორმე. ამიტომაც იბრძვის ასე გამალებით ე.წ პარლამენტი კანონის დამტკიცებისათვის. როგორც გაირკვა, თავად ბიძინა ივანიშვილმა შეკრიბა ყველა და თითოეული პარლამენტარი გააფრთხილა, მხარი დაეჭირათ პროექტისთვის.

**— მამაო, საპატრიარქომ გამოხატა თავისი უარყოფითი პოზიცია....**

– ჩემო კარგო, რას ფიქრობდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები მაშინ, როცა სინოდის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სავალალო გადაწყვეტილებას, როცა მართლმადიდებლობას გაუტოლეს სექტების უფლებები. როგორც ყველამ უწყის, სინოდის კრებები ბოკერიასა და მისი დამქაშების მიერ იმართებოდა. გეკითხებით, ყოველივე ეს არ მიუთითებს საპატრიარქოს უუნარობაზე? ანტიდისკრიმინაციული კანონი უშუალოდ ღმერთსა და მის მცნებებს ებრძვის. შორიდან ცქერის დრო აღარ არის. ძნელი ასატანია, უყურებდე, როგორ ითრევენ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას სიბილწის მორევში. დაფიქრებულან იმაზე, რომ ენით აუწერელი სიბილწეები კანონდება იმ ქვეყანაში, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრია, სადაც უნდა მობრძანდეს ყოვლადწმიდა დედის ხატი, სადაც უნდა განიკითხოს სრულიად კაცობრიობა. თქვენ აღნიშნავთ საპატრიარქოს პოზიციას, მე კი მას სულ სხვა მიმართულებას მივცემდი, მოლდოვაში ჩუმად მიიღეს ეს კანონი, პატრიარქმა კი, როცა გაიგო, მათ განუცხადა, თუ არ შეცვლიდნენ კანონს, ანათემას გადასცემდა მათ. აქ კი საპატრიარქოს წარმომადგენლებმა განაცხადეს შეაჩერონ კანონის განხილვა. ამბროსი ხელაია კი ამ შემთხვევაში იტყოდა, საერთოდ მოიხსნას დღის წესრიგიდან ეს საკითხიო. ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში, ერის ბედი სასწორზე იწონება, ეკლესიის მოთხოვნა უნდა იყოს კატეგორიული და შეუვალი, რამეთუ ეკლესიის ხმა ყველაზე აღმატებულია.



„თუ დამტკიცდა ანტიდისკრიმინაციული კანონი, ეს ფაქტი დიდ არეულობას გამოიწვევს. აშკარად იკვეთება, რომ მათი მთავარი სამიზნე სარწმუნოების აღმოფხვრაა. სწორედ ამ კანონის დამტკიცებაა ერთ-ერთი დავალება, რათა ევროკავშირში მოვხვდეთ როგორმე. ამიტომაც იბრძვის ასე გამალებით ე.წ. პარლამენტი კანონის დამტკიცებისთვის. როგორც გაირკვა, თავად ბიძინა ივანიშვილმა შეკრიბა ყველა და თითოეული პარლამენტარი გააფრთხილა, მხარი დაეჭირათ პროექტისთვის“

**— ბიძინა ივანიშვილს ხალხმა ნდობა გამოუცხადა, მაგრამ მისი ხელისუფლება ხალხს აღარ უსმენს. რატომ, როგორ ფიქრობთ?**

– პარლამენტი, პოზიცია თუ ოპოზიცია ივანიშვილის ყურმოჭრილი მონები არიან. მართალია, საზოგადოება ენდო ივანიშვილს, მაგრამ საბოლოოდ იმედგაცრუებული დარჩა.

ჩვენი დიდი გმირი წინაპრების მხრებზე იდგა და დგას საქართველო იქიდან აქამომდე, მათი ზვარაკად შეწირული სიცოცხლე იქმნა საწინდარი თქვენი რბილი სავარძლებისა და ფუფუნებისა, დაფიქრებულხართ, დაიმსახურეთ კი? თქვენ ამის სანაცვლოდ ყოველნაირ უფლებებს აძლევთ მამათმავლებს და სხვა ზნედაცემულთ, რათა შეურაცხყონ ერის ღირსება. თუნდ ის, ვინ გვყავს სახალხო დამცველი – ბაპტისტი უჩა ნანუაშვილი. ვინც მათ ამხელს, სასამართლოს გადასცემენ, აი, თურმე რისთვის სჭირდებოდა ბიძინა ივანიშვილს ასეთი სახალხო დამცველი. ყოვლად შეუწყნარებელია, მართლმადიდებელ ქვეყანაში ადამიანის უფლებებს სექტანტი იცავდეს. ჩვენ ცოტა ხნით გავიხარეთ, როცა ამ ადგილას ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურა წამოაყენეს, მაგრამ, როგორც გაირკვა, ახალ მთავრობას თავისი გეგმების განხორციელებისთვის არ აწყობდა ეს პიროვნება. ამჯერად იქნებ ქალაქის მერად ვიხილოთ ბატონი დიმიტრი და წარსულის შეცდომა არ გავიმეოროთ.

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას ეს თამაში სადამდე მიიყვანს?**

– დღევანდელ ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება ხალხის ღალატი, მაგათი საქციელი რომ სცოდნოდა

გაგრძელება მე4 გვ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ასეთ სამეურვეო საბჭოს მომავალში ტელევიზიის მართვას ვერ ვანდობდით“

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ძველი წევრები ოდნავ ნაკლები ხელფასით გააგრძელებენ მუშაობას.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ“ კანონში ცვლილებების კანონპროექტის საკითხის გარშემო მოვლენები განვითარდა ისე, როგორც არ უნდა განვითარებულიყო. ჩვენ ვერ შევძელით პირველი კონკურსის დროს სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტება, ამან გამოიწვია გარკვეული გართულებები. შემდეგ ამას მოჰყვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თაობაზე, უმრავლესობამ გამოვაცხადეთ, რომ არ ვიზიარებთ, მაგრამ პატივს ვცემთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამიტომ ცვლილებების პროექტი შედგენილია სწორედ იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, არ შეჩერდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების პროცესი და მეორე მხრივ, არ შეილახოს ის უფლებები, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო ბრძანებს გარკვეული ვადით საჯარო სამსახურთან გათანაბრებულ სამსახურში მყოფი პირების თაობაზე. სასამართლო ბრძანებდა, რომ, თუ იქნებოდა უკეთესი დასაბუთება იმის თაობაზე, რატომ ვერ შეძლებდა ძველი სამეურვეო საბჭო მუშაობის გაგრძელებას, მაშინ მას პრობლემები არ ექნებოდა, ამიტომ ჩვენ განმარტებით ბარათში ძალიან მკაფიოდ მივუთითებთ მარტივ ჭეშმარიტებას – მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმ სამეურვეო საბჭომ, რომელიც ტელევიზიას ხელმძღვანელობდა, ორჯერ შეძლო მის მიერ არჩეული გენერალური დირექტორის უკანონო გზებით თანამდებობიდან განთავისუფლება“, – განაცხადა უსუფაშვილმა და დასძინა, რომ „ასეთ სამეურვეო საბჭოს მომავალში ტელევიზიის მართვას ვერ ვანდობთ“. „ამიტომ შემოთავაზებული პროექტით მართვა გადადის ახლად არჩეული სამეურვეო საბჭოს ხელში. რაც შეეხება საბჭოს ძველ წევრებს, ისინი რჩებიან ტელევიზიის მართვის სისტემაში, მაგრამ მონიტორინგის ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციით, ისეთი ფუნქციით, რომელიც მათ დღესაც არ აქვთ. შეგახსენებთ, ეს საბჭო პირველი იანვრიდან მოქმედებს როგორც სარეკომენდაციო ორგანო და საკონსტიტუციო სასამართლოს ამ კონკრეტულ საკითხზე, რომ მათი უფლებამოსილება შეიცვალა და მართვის ნაცვლად სარეკომენდაციო ფუნქციები აქვთ, არანაირი პრეტენზია არ ჰქონია. ასე რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ არაფერს ვაკეთებთ. მათ შეუნარჩუნდებათ ხელფასი, ოდნავ ნაკლები, მაგრამ მაინც და გააგრძელებენ მუშაობას, თუ ამის სურვილი აქვთ“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


*მესამე გვერდიდან*

საზოგადოებას, ხმას არავინ მისცემდა, თუმცა ახლაც ახლოსაა არჩევნები...

**— მოგეხსენებათ, პატრიარქი საზღვარგარეთ იმყოფება ვიზიტით. როგორ ფიქრობთ, ცოტა უცნაური ხომ არაა ეს, როცა ამ კანონპროექტის გამო პროცესები ლამის სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს?**



– საქმე ისაა, რომ ხელისუფლებაზე მეტი ბრალი საპატრიარქოს მიუძღვის. ახლა რომ ამოიღეს ხმა, საკმაოდ დაგვიანებულია, რამეთუ აქამომდე დუმილით გარკვეულწილად ხელი შეუწყვეს ხელისუფლებას შავბნელი საქმეების კეთებაში. ჩვენ მოვიცილეთ სააკაშვილის 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმი, მივიღეთ თითქმის უარესი. ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მე განვაცხადე, თუ ის ერის ინტერესებისთვის არ იბრძოლებდა, მასაც არ დავზოგავდი. საკმაოდ მაკვირვებს ის ფაქტი, რომ რატომღაც როცა საქართველოს უჭირს და ეკლესიის თანადგომა სჭირდება, პატრიარქი, ნაცვლად იმისა, რომ გვერდით დაუდგეს ერს, პირიქით, საქართველოდან მიემგზავრება. ეს ყოველივე მიზანმიმართულად არის გათვლილი: ხელისუფლებამ აკეთოს ის, რაც უნდა და პატრიარქს კიდევ არყოფნის გამო ერმა პასუხი არ მოსთხოვოს.

ჩემს ინტერვიუებში ყოველთვის ვურჩევდი ივანიშვილს, პრიორიტეტი სარწმუნოებისთვის მიენიჭებინა. ფაქტი სახეზეა, ქვეყანა ისევ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, თურმე ევროკავშირში ან ნატოში არ მიგვიღებენ, თუ მამათმავლები არ ვიქნებით.

მივმართავ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, შს მინისტრს ბატონ ალექსანდრე ჭიკაიძეს: ბატონ ზვიად გამსახურდიას შემდეგ არსებულ ხელისუფალთა უმრავლესობის სახელები სამარცხვინო ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. თქვენ ჯერ კიდევ გენდობათ ხალხი, როგორც მართლმადიდებლებს, გთხოვთ ყოველგვარი ხერხი გამოიყენეთ, რათა ეს საშინელი კანონი არ იქნას მიღებული, რამეთუ მის დამტკიცებას მოჰყვება უამრავი ნონსენსი, რითაც კიდევ ერთხელ მნიშვნელოვნად დაზარალდება ერის განვითარების პროცესი. ადვილი შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს ქრისტეს წმინდა საკურთხევლის წინ ჯვრისწერაზე ერთსქესიანები ვიხილოთ, ან როგორც უკვე არის ამერიკის ერთ-ერთ შტატში მიღებული, ჯვარი სრულიად ტიტვლებმა დაიწერონ. თქვენ უფალმა საკმაოდ მძიმე მისია დაგაკისრათ, თუ როგორ გაართმევთ თავს, დაე იყოს ისე როგორც ბრძანეთ: „ოჯახი არის მამაკაცისა და ქალის ერთობა“. გვისმინოს უფალმა.

ერთ საკითხსაც მინდა შევეხო, რამეთუ ამათი საქციელი ზღვარგადასული თავხედობაა. როგორც მოლდოვაში მოხდა კანონის მიღების გამო, ჩვენ შემთხვევაში ანათემას იმსახურებენ, როგორც პარლამენტის წევრები, ასევე კულტურის სამინისტროს მესვეურნი, რამეთუ მათ დააფინანსეს, ჩვენი ერის ღირსების შემლახველი ნაჯღაბნები. რამდენი გაუბედურებული ბავშვი სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძვის და საშუალება არ აქვს ძვირადღირებული მკურნალობის ჩატარებისა, ამ დროს კულტურის სამინისტრომ შექმნა პროექტი, „ახალი ხმები საქართველოდან“, დააფინანსეს წიგნების ინგლისური თარგმანი და ლონდონში წიგნების ბაზრობაზე წარგზავნეს, თან ხმამაღლა აცხადებენ: „მოხარული ვართ, რომ ლონდონის წიგნების ბაზრობაზე საქართველო ასეთი შესანიშნავი ავტორებით წარდგებაო“. სატირალია მართლაც, თქვენ, ბრმების შესაკრებელო, გიჟმა სააკაშვილმა ღირსეული ინტელიგენცია „ჩარეცხილებად“ შერაცხა, თქვენ კი ინტელიგენტებად ითვლებით? აანალიზებთ სტრიქონებს, რომელიც იქ წერია, როგორ სასჯელს იმსახურებს? მე მოვიშველიებ ტერტულიანეს სიტყვებს: „ფრთხილად იყავ, რათა შენ მიერ დაწერილი სტრიქონები საშინელ სამსჯავროზე ანგელოზთა მიერ ხელმოწერილ (დამოწმებულ) ბრალდებად არ იქცეს. არ გეშინიათ იმ საშინელი სამსჯავროსი, სადაც წარდგებით? როცა არაკაცმა დეისაძემ თავისი ნაბოდვარი გამოაქვეყნა, მის პრეზენტაციას დიდი ილიას სახელობის უნივერსიტეტში (სადაც ამჟამად ქვაბავაზაკთა შესაკრებელია თევზაძის მეთაურობით) ესწრებოდა განათლების ყოფილი მინისტრის მოადგილე, ამჟამად პარლამენტარი, წარსულში კი „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი, ბოკერიას თანამზრახველი, ვაი მწერალი ზურაბიშვილი, რომელიც აპოლოდისმენტებით აჯილდოებდა პირწავარდნილ გარეწარს. ის დღესაც ძალიან აქტიურობას იჩენს ავადსახსენებელი კანონის მიღებასთან დაკავშირებით. დღეს დეისაძეებმა, ქარუმიძეებმა, ბურჭულაძეებმა, ბუღაძეებმა და ვაიპარლამენტარებმა უნდა გადაწყვიტონ საქართველოსა და სარწმუნოების ბედი? დაფიქრებულხართ? საით მივექანებით, ყოფნა-არყოფნის გასაყარზე ვდგავართ. ეს უღირსნი, ღვთისგან მიიღებენ სათანადო სასჯელს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ყველას მოგვეკითხება ის, რომ წინაპართა ნაბოძარს ვერ გავუფრთხილდით, ჩემი აზრით და ალბათ, ბევრი გაიზიარებს, კულტურის სამინისტროს მესვეურნი, თავიანთ „სახელოვან“ მჯღაბნელებთან ერთად, საზოგადოების სამსჯავროზე უნდა წარდგნენ. ისინი უნდა მოიკვეთონ ქართული მართლმადიდებლური ოჯახიდან. რამეთუ მათი ადგილი ჯანსაღ ხალხთან არ არს. შეიძლება ადამიანი შოკში ჩავარდეს შოთას, ილიას, აკაკის, გალაკტიონის, ჯავახიშვილის ქვეყანაში საქართველოს ლონდონში ეს გარეწრები უნდა წარმოადგენდნენ? ხედავთ? რანი ვიყავით და დღეს რანი ვართ? რატომ მიწა არ იწვის მათ ნაფეხურებზე. რა შეურაცხყოფაც ჯალათმა სააკაშვილმა დააკლო ქართველ ერს, ის სისრულეში ახალმა ხელისუფლებამ მოიყვანა.



„თუნდ ის, ვინ გვყავს სახალხო დამცველი – ბაპტისტი უჩა ნანუაშვილი. ვინც მათ ამხელს, სასამართლოს გადასცემენ, აი, თურმე რისთვის სჭირდებოდა ბიძინა ივანიშვილს ასეთი სახალხო დამცველი. ყოვლად შეუწყნარებელია, მართლმადიდებელ ქვეყანაში ადამიანის უფლებებს სექტანტი იცავდეს. ჩვენ ცოტა ხნით გავიხარეთ, როცა ამ ადგილას ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურა წამოაყენეს, მაგრამ, როგორც გაირკვა, ახალ მთავრობას თავისი გეგმების განხორციელებისთვის არ აწყობდა ეს პიროვნება. ამჯერად იქნებ ქალაქის მერად ვიხილოთ ბატონი დიმიტრი და წარსულის შეცდომა არ გავიმეოროთ“

„ეს ის წულუკიანია, სულიწმიდის მგმობელი, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ წავიდა და დააკანონა „აი-დი“ ბარათები საქართველოში, ახლა კი ცდილობს, დააკანონოს სამარცხვინო პროექტი და უსინდისოდ აცხადებს, აქ საშიში არაფერიაო. აი, ბედის ირონია...“

**— კი ამბობენ, არაფერს არ ვაპირებთო, მაგრამ რომც აპირებდნენ, თქვენი აზრით, ამ დაძაბული ვითარების ფონზე, 17 მაისს არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანები გაბედავენ აღლუმის ჩატარებას?**

– ყველას კარგად გვახსოვს გასული წლის 17 მაისი, ანტიქრისტეს მოციქულებმა საზღვარგარეთიდან მიღებული დავალება ვერ შეასრულეს. რაც შეეხება წლევანდელ 17 მაისს ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, ეს ნაძირალები რას გეგმავენ, მაგრამ იცოდნენ, რომ არაფერი გამოუვათ, ქართველი ერი არ დაუშვებს, რომ რუსთაველის კინოთეატრში პრეზენტაცია მოახდინონ უზნეო, აღვირახსნილი ქმედებისა. ეს უნდა გაითვალისწინონ, მთავრობის სახით, ბატონმა ღარიბაშვილმა და ჭიკაიძემ, რათა ყოველი ღონე იხმარონ, დროზე აღკვეთონ მოსალოდნელი არეულობა და არ მისცენ საშუალება ამ ტვინჩაცემენტებულებს, გამოიწვიონ ერის ვნებათაღელვა, რამეთუ შესაძლებელია, ამას სავალალო შედეგი მოჰყვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ღვთის რისხვა არ აგვცდება, როგორც სოდომში ზეციდან გოგირდის წვიმა ვიდოდა, უარესი გველოდება. წულუკიანი, ფანჯიკიძე, ზურაბიშვილი, „რესპუბლიკელები“ და ა.შ ხალხის მიერ არიან არჩეული და ისევ ხალხი გადაწყვეტს მათ ბედს. ეს ის წულუკიანია, სულიწმიდის მგმობელი, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ წავიდა და დააკანონა „აი-დი“ ბარათები საქართველოში, ახლა კი ცდილობს დააკანონოს სამარცხვინო პროექტი და უსინდისოდ აცხადებს აქ საშიში არაფერიაო. აი, ბედის ირონია... გაითვალისწინონ, რომ ყოველივე წარმავალია, მხოლოდ საკუთარი სინდისი და ადამიანობა წარმოგვაჩენს, რომელიც, როგორც ვხედავ, სანთლითაა საძებარი დღეს. კეთილი ინებონ და რეფერენდუმით გამოხატონ ხალხის ნება, რამეთუ საქართველო მარტო მათი არა არს, ის ყველას ერთნაირად ეკუთვნის, იმ გლახაკსაც კი, რომელიც ქუჩა-ქუჩა დადის, ბუნკერებში იქექება, რათა ლუკმაპური მოიპოვოს. გაითვალისწინონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, აღმართს, რომელიც ისევ ჩვენით გადალახეს, ძალიან დიდი დაღმართი მოსდევს და ისე არ გაუხდეთ საქმე, თვით აღმოჩნდნენ ლუკმაპურის მძებნელთა რიგებში, რამეთუ ღმერთის ძალა დიდ არს, ეს ჩვენ გვეჩქარება, ხოლო უფალი ყველას მიუზღავს სამაგიეროს კეთილი თუ ბოროტი საქმეებისთვის, უზენაესის წინაშე თითოეული ჩვენგანი ჩვენივე ნამოღვაწარით წარვდგებით, იქ ფეშენებელური სახლები, ფუფუნება და განცხრომა ველარას გვიშველის, სასუფეველში უფალს მხოლოდ სუფთა სულით მივეახლებით, საქმემან შენმან გამოგაჩინოს.

ჩემო სულიერო შვილნო, დანო და ძმანო, მართლმადიდებელო ქრისტიანებო! დავარისხოთ განგაშის ზარები, რამეთუ დღეს ძალიან უჭირს საქართველოს, ყოველი მხრიდან გვიტევენ შინაური და გარეული მტრები. ყველანი დავდგეთ ერთად და სიცოცხლის ფასადაც, რომ დაგვიჯდეს, დავიცვათ ჩვენი სამშობლო წინაპართა ხსოვნა. ღმერთმა დაგლოცოთ!

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ირაკლი ალასანია: „ამით რუსეთს მიახვედრებთ, რომ თქვენ არ ხუმრობთ“




საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ნატო-ს საქართველოში საჰაერო თავდაცვითი სისტემების განთავსების იდეა მიაწოდა.

„სანქციებს დროებითი ხასიათი აქვს. ვვარაუდობ, რომ ვითარება უკრაინაში დროთა განმავლობაში გაყინული კონფლიქტის თვისებებს შეიძენს. სამ ან ექვს თვეში რუსული ბიზნესი ჩვეულებრივ რეჟიმში იფუნქციონირებს, ამიტომ ჩვენ სტრატეგიული ნაბიჯი უნდა გადავდგათ. რა იქნება ეს? – პირველ რიგში, ნატო-ს გაფართოება. რუსეთი ყოველთვის ქმნის ახალ რეალობას, შემდეგ ირჩევს მორიგ მსხვერპლს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მოლაპარაკებებს დასავლეთთან. დროა, დასავლეთმა ინიციატივა საკუთარ თავზე აიღოს, ალიანსში ახალი წევრების მიღება დაუშვას, ასპირანტი ქვეყნების ტერიტორიაზე თავდაცვითი სამხედრო სისტემები განათავსოს. ეს, პირველ რიგში, საქართველოს ეხება. საჰაერო თავდაცვითი სისტემა არის ის, რაც საქართველოში უნდა განთავსდეს, – ამით რუსეთს მიახვედრებთ, რომ თქვენ არ ხუმრობთ“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონში, ატლანტიკური საბჭოს კონფერენციაზე.

თავდაცვის მინისტრის ინიციატივას საგარეო საქმეთა მინისტრი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ იდეა განხილვას იმსახურებს.

„ირაკლი ალასანიას იდეა პარტნიორებისთვის საინტერესო აღმოჩნდა. ეს აქტუალური საკითხია სიტუაციის გათვალისწინებით და ჯერჯერობით არის იდეა, რომელიც განხილული არ არის, თუმცა ამას ნამდვილად აუცილებლად იმსახურებს. კონკრეტულად რა შედეგი მოჰყვება ამას – მომავალი გვიჩვენებს“. – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი კი დარწმუნებულია, რომ ირაკლი ალასანიას მოწოდება საქართველოში სამხედრო თავდაცვითი სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით ალიანსში განხილული იქნება.

„ამავე შეხვედრას ესწრებოდა ნატო-ს გენმდივნის მოადგილე და მან განაცხადა, რომ მოკავშირეებს მიაწვდის ამ გზავნილს. ნატო-ს საკუთარი თავდაცვითი სისტემა არ აქვს. ეს მოკავშირე ქვეყნებს გააჩნიათ. ნატო-ს შეუძლია, გაუწიოს ორგანიზება მხარდაჭერას, როგორც ეს გავაკეთეთ თურქეთისთვის სირიის კონფლიქტის დროს. ალასანიას გზავნილი ნათელი იყო. დარწმუნებული ვარ, ნატო-ში მისი განხილვა მოხდება“, – განაცხადა აპატურაიმ. (ფრონტნიუსი)

# რატომ „დაარტყა“ პრემიერ-მინისტრმა არასამთავრობოებს?!

პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე, მოსმენებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „მიზანმიმართული კამპანია, რომ დღეს ყველას უსმენენ, სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული და ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს“. მთავრობის მეთაურის თქმით, მოქალაქეების დარწმუნება იმაში, რომ დღეს ყველას უსმენენ, ქვეყნის იმიჯის ძირგამომთხრელ საქმიანობად შეიძლება შეფასდეს: „არასამთავრობოებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ვარიანტი კატასტროფის ტოლფასი იყო და საფრთხეს შეუქმნიდა მთლიანად სამართალდამცავი სისტემის, ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის გამართულ, ეფექტურ მუშაობას. ჩვენ ეს არ დავუშვით და დავიწყეთ აღნიშნული კანონპროექტის დამუშავება. ქვეყნის ინტერესებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობისას სიჩქარე დაუშვებელია. ხელისუფლებამ საქმით დაამტკიცა, რომ საქართველოში მოსმენების დრო დასრულდა. ორი თვის წინ კი ჩვენ გვესმის, რომ იწყებენ აბსოლუტურად გაუგონარ კამპანიას, სახელწოდებით – „ეს შენ გეხება“. მოვისმინე განცხადებები, რომ ყოველი დღე საფრთხის შემცველია და იწყებენ მოქალაქეების დარწმუნებას, თითქოს დღეს ყველას უსმენენ. მაშინ, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის იმიჯის განმტკიცება ხდება და ყოველდღიურად ვაჩვენებთ პროგრესს, ეს ადამიანები ათასობით ლარს ხარჯავენ რეკლამებში, იმისთვის, რომ შეარყიონ ქვეყნის იმიჯი. ამას მე ვუწოდებ ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობას“.



ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, რომ კანონპროექტი პარლამენტს უახლოეს მომავალში გადაეგზავნება.



„ეს ჩემთვის მართლაც საკვირველი და საოცარი იყო. ორჯერ წავიკითხე ეს განცხადება, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ პრემიერ-მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაციების ამდენ წარმომადგენელს, ამდენ არასამთავრობო ორგანიზაციას... ასე მიმართავს“



ნინო ლომჯარია

ამ განცხადების შემდეგ არასამთავრობოების წარმომადგენლებმა ფრონტი გაუხსნეს პრემიერ-მინისტრს და ღია ომი გამოუცხადეს. ისინი თვლიან, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა საშინელი რამ ჩაიდინა, მათ თავს დაესხა და ბოლშევიკურად გადაუარა. როგორც „ყველაფრისტი“ ზვიად ქორიძე აცხადებს, თურმე მთავრობის მეთაური საზოგადოებას ატყუებს, როცა ამბობს, არასამთავრობო ორგანიზაციები რაღაც თანხებს ხარჯავენ და რეკლამას დებენ იმაში, რათა სახელმწიფოს ძირი გამოუთხარონ. მისივე თქმით, გაცილებით სახიფათო ყოფი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ითანამშრომლებს თუ არა ხელისუფლება „სამოქალაქო ანტიტერორისტულ ორგანიზაციასთან“?



ორგანიზაცია თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა, შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა რომან გვენცაძემ და უშიშროების ყოფილმა გენერალმა ზურაბ ბაქრაძემ დააფუძნეს. მათი განცხადებით, „სამოქალაქო ანტიტერორისტული ორგანიზაციის მთავარი მიზანი ქვეყანაში ნეგატიური მოვლენებისა და საფრთხის თავიდან აცილება იქნება“.

„მიშას დროს საქართველო წლების განმავლობაში ნარკოტრასა იყო, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის შექმნის საჭიროებას ვხედავთ მსგავსი პრობლემების აღმოსაფხვრელად“, – აღნიშნა კიტოვანმა. ირკვევა, რომ „სამოქალაქო ანტიტერორისტული ორგანიზაცია“ ორთვე-ნახევრის წინ შეიქმნა და დამფუძნებლების თქმით, ის სახელმწიფოსთან თანამშრომლობას გეგმავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ კიტოვანის მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია და მისი საქმიანობა სერიოზული კომენტარის გაკეთებასაც არ იმსახურებს.

„რა უნდა გითხრათ? – კიტოვანის რაღაც ორგანიზაციასთან დაკავშირებით კომენტარს ვერ გავაკეთებ. საქართველოში ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია იქმნება და არსებობს, ეს კარგია, თუმცა რაც შეეხება კიტოვანს, მის მიერ გაკეთებული საქმეები და მისი პერსონა პირადად ჩემთვის აბსოლუტურად უინტერესოა, – ვგულისხმობ ბატონი კიტოვანის მოღვაწეობას არასამთავრობო სექტორში და არა მის წარსულ საქმიანობას“, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა და დასძინა, რომ ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ასევე საქართველოს შიდა და გარე საფრთხეებზე ხელისუფლება და შესაბამისი სტრუქტურები ზრუნავენ.

ახალ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას გამორიცხავს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილიც.

„ქვეყნის საგარეო და საშინაო საფრთხეების მოგვარებისა და თავიდან აცილების პრეროგატივა კიტოვანისთვის არავის მიუნიჭებია. თუკი საუბარია არასამთავრობო ორგანიზაციაზე, მის შექმნას დღევანდელ საქართველოში ვერავინ და მათ შორის ვერც მე შევეწინააღმდეგები. პირადად მე კიტოვანთან თანამშრომლობას არ ვგეგმავ და შესაბამისად, არც მისი საქმიანობის შესახებ ვფლობ რაიმე ინფორმაციას“, – განაცხადა ირინა იმერლიშვილმა და დასძინა, რომ „თენგიზ კიტოვანის საქმიანობითა და მისი პოლიტიკური წარსულით დაინტერესება სამართალდამცველი სტრუქტურების საქმე და პრეროგატივაა“. (ფრონტნიუსი)



## უნივერსიტეტები სამეცნიერო ელექტრონული ბაზის გამოყენებას შეძლებენ

მთავრობა უნივერსიტეტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზასთან წვდომის უფლებას შეიძენს.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის ძალიან საჭირო იმისთვის, რომ უნივერსიტეტებს და კვლევით დაწესებულებებს ჰქონდეთ სამეცნიერო ინფორმაციასთან წვდომა. ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი და დარწმუნებული ვარ, ეფექტურად გამოიყენებენ“, – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რისთვის იხდიდა სასჯელს ზუგდიდის მერობის კანდიდატი?



„ქართული ოცნების“ ზუგდიდის მერობის კანდიდატი ირაკლი გოგოხია ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თაღლითობისთვის იყო გასამართლებული, თუმცა განმარტავს, რომ ნასამართლობა უკვე მოხსნილი აქვს. მისი თქმით, წინა ხელისუფლება მასზე, როგორც ბიზნესმენზე ზეწოლას ახორციელებდა და მის მიმართ წაყენებული ბრალდებები შეთითხნილი იყო.

„გავიარე ის ჯოჯოხეთი, რომელიც საქართველოს 350 ათასამდე მოქალაქემ გაიარა. 2010 ოქტომბერში ქურდობის ბრალდებით დამაკავეს, თუმცა ბრალდების დამტკიცება ვერ შეძლეს და გამიშვეს. 2011 წელს კი თაღლითობაში დამდეს ბრალი, რაზეც წელიწად-ნახევარი სასამართლო მიმდინარეობდა. 2012 წლის 13 ოქტომბერს კი განაჩენი გამომიტანეს. მოვლენები ისე განვითარდა, რომ სხვა გზა არ დამიტოვეს და ბრალი ვაღიარე, რის შემდეგაც გირაოს სანაცვლოდ გამათავისუფლეს და 5-წლიანი პირობითი პატიმრობა მომისაჯეს, თუმცა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ამნისტია შემეხო და ნასამართლობა მომეხსნა. ჩემს უდანაშაულობას ზუგდიდის ამომრჩევლები მომავალ არჩევნებზე დაამტკიცებენ“, – განაცხადა ირაკლი გოგოხიამ. ცნობისთვის: ირაკლი გოგოხიამ 1991 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის ფაკულტეტი, 1995 წელს კი – ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 1995 წელს სწავლობდა ფრანკფურტის საბანკო აკადემიაში. ამავე წელს იყო „დოიჩე ბანკის“ სტაჟიორი. 1991-1993 წლებში იყო სააქციო საზოგადოება „კავკასიის სასაქონლო სანედლეულო სავალუტო ბირჟის“ ზუგდიდის ფილიალის დირექტორის მოადგილე, 1993-1995 წლებში – ბანკ „გეას“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე; 1996-2002 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს საფოსტო ბანკის ზუგდიდის ფილიალს; 2002-2003 წლებში იყო ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე, 2006 წლამდე კი – საკრებულოს წევრი; 2007 წელს დააარსა შპს „ზუგპეტროლი“, 2009 წლიდან კი შპს „ოილპროს“ დამფუძნებელია. ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. ჰყავს მეუღლე. (ფრონტნიუსი)

*მეხუთე გვერდიდან*

ლა თავად ის ტერმინოლოგია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი იყენებს. ასეთი ტერმინები ყოველთვის იწვევს ტოტალიტარული მმართველობის ასოციაციასო. დაახლოებით ასეთივე ხასიათზე დამდგარა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე, კახა კოჟორიძე, რომელმაც პირველად თვალებს არ დაუჯერა და მეორედ წაიკითხა ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება:

„ეს ჩემთვის მართლაც საკვირველი და საოცარი იყო. ორჯერ წავიკითხე ეს განცხადება, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ პრემიერ-მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაციების ამდენ წარმომადგენელს, ამდენ არასამთავრობო ორგანიზაციას... ასე მიმართავს. როგორც იცით, მარტო არასამთავრობო ორგანიზაციები არ უჭერენ მხარს ამ საკანონმდებლო ცვლილებებს. იმ კანონპროექტის ავ-



ტორები, რომელთაც ჩვენ ვუჭერთ მხარს, არიან მოქმედი დეპუტატები უმრავლესობიდან, მაგალითად, შალვა შავგულიძე. მხარდაჭერა იუსტიციის მინისტრმაც გამოხატა. თურმე ამდენი ადამიანი ანტისახელმწიფოებრივ და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა".

„სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარია ღარიბაშვილს პუტინს ადარებს და თან თავს იმართლებს, ეს კამპანია „ნაციონალებთან" ერთად წამოწყებული არ გახლავთო: „პრემიერ-მინისტრისგან მოვისმინეთ ტოტალიტარული სახელმწიფოს მეთაურის რიტორიკა, ასე საუბრობს დღეს პუტინი არასამთავრობო სექტორზე. პრემიერ-მინისტრმა იცის, კონკრეტულად რომელი ორგანიზაციები დგანან ამ კამპანიის უკან და მან ნამდვილად იცის, რომ ეს არ არის „ნაციონალური მოძრაობის" მიერ წამოწყებული კამპანია".

არასამთავრობოებს მხარს უპირობოდ უჭერენ „ნაციონალები". მაგალითად, საპარლამენტო უმცირესობის წევრი, **ირმა ნადირაშვილი** „ალიასთან" საუბარში აცხადებს, რომ მათ არავითარი კანონპროექტი არც დაუწერიათ და არც პარლამენტში შეუტანიათ:

– ეგ ჩვენი დამუშავებული არაა, ჩვენ მხარს ვუჭერთ „ენჯეოების" კანონპროექტს.

**— არა, ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, ადრე ჰქონდათ „ნაციონალებს" შემოტანილი და საშინელება იყოო.**

– ადამიანი 3 სიტყვაში სამივე ტყუილს ამბობდეს, არ მინახავს. რაც შეეხება ამ კანონს, ერთი წლის წინათ ზარ-ზეიმით შემოიტანა ლაშა ტუღუშმა და შალვა შავგულიძის ინიციატივით შევიდა ბიუროზე.

**— ამიხსენი, შავგულიძემ რაც შემოიტანა, ტუღუშის დაწერილია?**

– დიახ, ბატონო გელა... ტუღუშისა და „ენჯეოების", ზოგადად.

**— ღარიბაშვილი ამბობს, მინდია ჯანელიძემ ახალი კანონპროექტის შემუშავება დაიწყოო, ესე იგი, რა გამოდის, ახლა რაც არის შემოტანილი, აღარ განიხილება?**

– კი, ასე გამოდის.

**„ალია" შეეცადა, გაერკვია, კონკრეტულად რა იყო პრემიერ ღარიბაშვილისთვის არასამთავრობოების კანონპროექტში კატასტროფის ტოლფასი და რა საფრთხეებს ქმნიდა.**

**ასევე, გვაინტერესებდა, მთავრობის კანონპროექტის ვარიანტში დევს თუ არა რაიმე სახის გარანტიები, რომ უბრალო მოქალაქე უკანონო მოსმენებისგან დაცულია და რა სახისაა ეს გარანტიები.**

**სამწუხაროდ, გუშინ ამის გარკვევა შეუძლებელი აღმოჩნდა.**

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ტელეკომპანიებს სარეკლამო ლიმიტების დარღვევისთვის სანქციები დაეკისრათ



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანიებს „რუსთავი 2"-სა და „ტელეიმედს" „მაუწყებლობის შესახებ" კანონით დადგენილი სარეკლამო ლიმიტების დარღვევისთვის სანქცია – წერილობითი გაფრთხილება დააკისრა.

კომისიამ არხების მონიტორინგი მიმდინარე წლის თებერვალი-მარტის პერიოდში ჩაატარა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ 28 თებერვალს „ტელეიმედის" საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემა „რეაქციაში" განთავსებულმა რეკლამამ 7 წუთს გადააჭარბა, 7 მარტს კი სარეკლამო რგოლები 9 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში გადიოდა. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა რეკლამით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 15 წუთში ერთხელ და რეკლამის ხანგრძლივობა 300 წამს არ უნდა აღემატებოდეს.

კანონი დაარღვია „რუსთავი 2"-მაც 28 თებერვალს გადაცემა „არჩევანის" რეკლამით შეწყვეტის დროს, ამ გადაცემაში სარეკლამო ჭრის ხანგრძლივობამ 6 წუთს გადააჭარბა.

სარეკლამო დროის ლიმიტები ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა 27 თებერვალსაც დაარღვია, სერიალი „ტიტების დრო" 13 წუთის შემდეგ შეწყდა რეკლამით, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით კი რეკლამისთვის განსაზღვრული წყვეტებს შორის ინტერვალი 15 წუთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამართულ სხდომაზე კანონის დარღვევა ორივე ტელეკომპანიის წარმომადგენელმა აღიარა. კომისიამ ტელეკომპანიებს „რუსთავი 2"-ს და „ტელეიმედს" სანქცია – წერილობითი გაფრთხილება დააკისრა.

ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში 13 მარტს გადაცემა „სუბიექტური აზრი" დაწყებიდან რეკლამით 4 წუთში შეწყდა, რაც კანონის დარღვევაა, რადგან რეკლამისათვის ან ტელეშოპინგისთვის განკუთვნილ წყვეტებს შორის ინტერვალი არ უნდა იყოს 15 წუთზე ნაკლები. მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ იგივე სახის დარღვევა ტელეკომპანია „მაესტროს" 17 მარტსაც უფიქსირდება.

კომისიამ ტელეკომპანია „მაესტროს" საკითხის უფრო დეტალური შესწავლის მიზნით საკითხის განხილვა 2014 წლის 8 მაისს 16:00 საათზე გადადო. (ნიუპოსტი)



## გორის ბაზრის ტერიტორია ადმინისტრაციამ ბეტონის ფილებით შემოღობა

გორში, ქალაქის ცენტრში, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, გვიან ღამით ხმაური იყო, ადგილზე საპატრულო პოლიცია, მოვაჭრეები და ბაზრის ადმინისტრაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

მოვაჭრეების ცნობით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ტერიტორიაზე ე.წ. ბეტონის კონსტრუქციები მიიტანეს და ფართობის შემოღობვა ამ ფორმით სცადეს, თუმცა მოვაჭრეებმა ამის საშუალება არ მისცეს.

„მოიტანეს ბეტონები და დაალაგეს იმ ტერიტორიის გარშემო, სადაც ვვაჭრობთ, ანუ უნდათ, რომ ეს ტერიტორია დავტოვოთ, აქ ავტოსადგური უნდა გავაკეთოთო. ამ ტერიტორიაზე თუ ბეტონის ჯებირები დაალაგეს, ბუნებრივია, ვერ ვიმუშავებთ", – აცხადებს ერთ-ერთი მოვაჭრე.

გორის აგრარული ბაზრის მოვაჭრეები რამდენიმე დღის წინ ძველი ბაზრის ტერიტორიაზე თვითნებურად დაბრუნდნენ და ვაჭრობა განაგრძეს. მათი განმარტებით, ახალ ბაზარში ისინი საქონლის რეალიზაციას ვერ ახდენენ, რადგან სავაჭრო ობიექტი ქალაქის ცენტრიდან მოშორებით გადაიტანეს. (ნიუპოსტი)

## საბურთალოზე კენჭს ჟურნალისტი იყრის



როგორც ტელეკომპანია „კავკასიის" ხელმძღვანელი, ნინო ჯანგირაშვილი „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე წერს, შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საბურთალოს რაიონში იყრის კენჭს.

„დღეს ჩემი ძვირფასი მეგობრისა და კოლეგის, ალექსანდრე ელისაშვილის ბოლო გადაცემაა „კავკასიის" ეთერში. ხვალიდან ახალ ამპლუაში მოგევლინებათ. დღევანდელი გადაცემის ბოლოს თავად ალეკო იტყვის, რას აპირებს, მე კი აქ დავასწრებ და წარმატებებს ვუსურვებ თბილისის საკრებულოსკენ მიმავალ გზაზე. მადლობა ერთად გატარებული საინტერესო წლებისთვის, პლუს ჩემი ერთი ხმა საბურთალოდან. ეს ერთი და სხვა მრავალი", – წერს ჯანგირაშვილი. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მთავრობა მიიჩნევს, რომ საქართველოში სწავლის ხელმისაწვდომობის პრობლემა მოხსნილია



განათლების მინისტრმა ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე პროფესიული განათლების განვითარების თაობაზე ინფორმაცია წარადგინა. თამარ სანიკიძის განცხადებით, პროფესიული განათლების სფეროში ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად, პროფესიულ სასწავლებლებში დღეს ვაკანტური ადგილები აღარ არსებობს და პროფესიული განათლებით დაინტერესება გაიზარდა.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, დღეს სწავლის ხელმისაწვდომობის პრობლემა მოხსნილია და ახალგაზრდებს არჩევანის საშუალება აქვთ. ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ იუნესკოს 2013 წლის მონაცემებით, სწავლის ხელმისაწვდომობის რეიტინგში საქართველომ 150-ე ადგილიდან 23-ე ადგილზე გადმოინაცვლა. (რეპორტიორი)

## ელდარ შენგელაიას ფილმს კანის კინოფესტივალზე მეორედ აჩვენებენ



ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები" კანის კინოფესტივალის სპეციალურ სექციაში – „კანის კლასიკაში" იქნება ნაჩვენები.

კანის კინოფესტივალის გენერალურ დელეგატთან ქართული ფილმის კანის კინოფესტივალზე წარმოდგენის თაობაზე მოლაპარაკებები წელიწად-ნახევრის წინათ დაიწყო. სპეციალურმა ჟიურიმ წარმოდგენილი 1 000 ფილმიდან საუკეთესო ოცეულში ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთებიც" შეიტანა.

ამ სექციაში ქართული ფილმი პირველად ხვდება, თუმცა, „ცისფერი მთები" 1985 წელს კანში რეჟისორთა კვირეულზეც აჩვენეს.

კანში ფილმების ჩვენებას სოფი ლორენი გახსნის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფილმი, რომელიც წელს ამ სექციის პროგრამაში მოხვდა, სერგო ფარაჯანოვის „საიათნოვაა". (რეპორტიორი)

## „მშრომელ ადამიანს — დიდება!" — მოსკოვში საპირველმაისო ტრადიცია აღადგინეს



მოსკოვში 1991 წლის შემდეგ საპირველმაისო დემონსტრაცია პირველად ჩატარდა. სააგენტო „უნიანის" ინფორმაციით, ტრადიცია წითელ მოედანზე საბჭოთა ნიმუშზე აღადგინეს. ტრანსპარანტებზე შემდეგი ლოზუნგები ჩანდა: „მშვიდობა – შრომა მაისი!" „მშრომელ ადამიანს – დიდება!"

მსვლელობის მონაწილეები წითელ მოედანზე დროშებით, ყვავილებითა და ბუშტებით გადაადგილდებოდნენ. უბრალო მოქალაქეებისთვის დემონსტრაციასთან მისასვლელი ჩაკეტილი იყო. ქალაქში წესრიგს 8,5 ათასი პოლიციელი და შსს-ს შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურე იცავდა. დემონსტრაციაში დაახლოებით 80 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# „მალე საქართველოში იქნება ტერორისტული აქტები“

## რისთვის შექმნეს კიტოვანმა, უშიშროების გენერალმა ბაქრაძემ და შს ექსმინისტრმა რომან გვენცაძემ ანტიტერორისტული ორგანიზაცია





**„თუ ეს კანონი მიიღეს და არ დაუჯერეს საქართველოს მოსახლეობის 90%-ს, მაშინ „მივიღებთ“ ყველაზე უკანასკნელ მეთოდს. თქვენ წამოხვალთ სუყველა და კი არ შევვარდებით, შევალთ. შვილები ხომ გყავთ? თქვენს შვილებს არ უნდა გაფრთხილება? ჩვენ საკმარისი ხალხი ვართ, რომ მთელი საქართველო დაირაზმოს და მივიდეს იქა“**

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანიც გამოეხმაურა: „ამ კანონის მიღება გამოიწვევს უდიდეს ომს, პირდაპირ ვამბობ – ეს იქნება ომი, პარლამენტის შემოღებული კანონით. მივმართავ უსუფაშვილსა და მის მეუღლეს, რომლებიც ასე მონდომებული არიან, არ დაუშვათ ამ კანონის მიღება! კანონპროექტი ქართველი ერის შეურაცხყოფაა! კავკასიაში ასეთი რამ არ მომხდარა და არც მოხდება. ქართველი კაცის შემარცხვენელი კანონის მიღებას არ დავუშვებ! პირველი ჩვენ დავიწყებთ ომს ამ კანონის საწინააღმდეგოდ, პარლამენტში შევალთ, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ და ისე გამოვყრით ყველას, არც მომერიდება არაფრის!“

გარდა ამისა, გაცხადდა, რომ იქმნება „ანტიტერორისტული კომიტეტი“. კიტოვანთან ერთად, მისი დამფუძნებლები იქნებიან ექსმინისტრის მეგობრები: უშიშროების გენერალი ზურაბ ბაქრაძე და შს ექსმინისტრი რომან გვენცაძე.

რას აპირებენ „ექსები“? რატომ შეიქმნა ახალი ორგანიზაცია? როგორ და რა ძალებით აპირებს თენგიზ კიტოვანი პარლამენტის წინააღმდეგ ომის დაწყებას?

„ალიას“ **თენგიზ კიტოვანი** ესაუბრა:

– ჩვენ უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს ეს „ანტიტერორისტული კომიტეტი“, რომელიც მშვენივრად მუშაობს და ძალიან კარგ საქმესაც აკეთებს. მანდ ლაპარაკი იმაზეა, რომ ჩვენ გვაქვს გამოცდილება და ვგეგმავთ ღონისძიებებს.

**— თქვენ მოსკოვში, ეტყობა, გარკვეული ინფორმაციები შეაგროვეთ, რახან ასეთი ორგანიზაციის შექმნამდე მიხვედით. რატომ ქმნით ამ ანტიტერორისტულ ორგანიზაციას?**

– ეგ ორგანიზაცია აუცილებელია, მოსკოვშიც და სხვა ქვეყნებშიც არის ეგეთი სამოქალაქო ორგანიზაციები შექმნილი. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ერი ნარკომანიისგან, წამლების შემოტანისგან, ტერორისტული აქტებისგან. ეს არის ჩვენი მოვალეობა, ყველას თავისი ქალაქი უყვარს, რა შუაშია აქ მოსკოვი?

**— მოსკოვი იმ აზრით ვახსენე, ეგება იქ მოიპოვეთ რამე მნიშვნელოვანი ინფორმაცია? რაც შეეხება „ანტიტერორისტულ კომიტეტს“, ეს ანტიტერორისტული ცენტრი არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროში და თქვენ რა უნდა გააკეთოთ?**

– ის არის ოფიციალური და ეს არის სამოქალაქო ორგანიზაცია. ერთ საქმეს გავაკეთებთ, როცა ჩვენ დავაგროვებთ იმ ინფორმაციას, თუ საჭირო იქნება დახმარება, მაშინ მივმართავთ მაგ პირებს. ჩვენ გვიწერია წესდებაში, რომ ჩვენი მოქმედება იქნება შეთანხმებული ოფიციალურ ორგანიზაციებთან და მანდ საიდუმლო არაფერი არ იქნება. მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ მალე საქართველოში იქნება ტერორისტული აქტები. მე ვგრძნობ ამას და წინააღმდეგი ვართ ამისა სუყველა, რომ დაიღუპოს რომელიმე ჩვენი მოქალაქე.

**— რას ჰქვია, გრძნობთ? გრძნობთ, თუ რამე ინფორმაცია მოგეპოვებათ ამის შესახებ?**

– ეს უკვე ჩვენი საქმეა.

**— გასაგებია, მაგრამ ამ გაზეთს ხალხი კითხულობს და მათთვის იწერება ინფორმაცია.**

– თუ რამე იქნება, შეგატყობინებთ ყველაფერს. გეტყვით ერთ ამბავს, ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს საზღვარზე დაიჭირეს 900 კილოგრამი ნარკოტიკი, რაც ჩვენთან შემოჰქონდათ, დაიჭირეს სომხებმა და ქართველი იყო მძღოლი, ეს 900 კილო რამდენია, იცით? ეს რომ შემოსულიყო, ნახევარი საქართველო იქნებოდა წამლის ქვეშ. ჩვენს დროს საქართველოში იყო 40 000 ნარკომანი და ახლა გახდა 300 000. როგორია?

**— მერე თქვენ რას აპირებთ, როგორ მოიპოვებთ მსგავს ინფორმაციებს?**

– ეგ ჩვენი საქმეა, კაცო, როგორ მოვიპოვებთ.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემთხვევაში კანონს ომს გამოუცხადებთ, პარლამენტში შეხვალთ და ცხვირპირისმტვრევით გამოყრით ყველას. ვინ შეხვალთ? ვისთან ერთად? იქ ჯერჯერობით ხალხი გარეთ აპროტესტებს და თქვენ მობილიზაციას მოახდენთ ამ ხალხისა, თუ რას აპირებთ?**

– ჩვენ შევუშლით ყველანაირად ხელს, თუ ეს კანონი მიიღეს და არ

*გაგრძელება მე-8 გვ.*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მამა ელიზბარი: „დედა პარასკევამ მამა გაბრიელის საფლავი შემოსავლის წყაროდ აქცია“

როგორც ყოვლადწმინდა სამების ეკლესიის დიაკონმა, მამა ელიზბარ დეკანოიძემ განაცხადა, საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში დედა პარასკევასა და დედა ქეთევანს შორის მომხდარი დაპირისპირების შესახებ ინფორმაცია უკვე მიაწოდეს. მისი თქმით, დედა პარასკევამ წმინდა მამა გაბრიელის საფლავი შემოსავლის წყაროდ აქცია, რაც მას აეკრძალა. მისივე თქმით, სწორედ ეს გახდა მონაზვნების კონფლიქტის მიზეზი. როგორც დიაკონი განმარტავს, დედა პარასკევა მას შემდეგ გაღიზიანდა, რაც ღირსი მამის საფლავთან მდგარი სახლი დაუნგრიეს და დედა ქეთევანმა მას მიუთითა, რომ სხვა მონაზვნებთან ერთად კელიაში ეცხოვრა.

„ორივეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, როგორც მონაზვნებსა და სასულიერო პირებს. დედა პარასკევა იმსახურებდა და იმსახურებს სიყვარულსა და ყურადღებას, რადგან ის მონაზონია. ის ძალიან გულმოდგინედ უვლიდა წმინდა მამა გაბრიელს, მაგრამ მერე მამა გაბრიელის საფლავთან ცალკე ორსართულიანი სახლის დადგმა მოინდომა. სიწმინდე შემოსავლების წყაროდ გადააქცია. აი, ეს აეკრძალა. დაუნგრიეს ის სახლი და დედა ქეთევანმა მიუთითა – როგორც სხვა მონაზონი ცხოვრობს კელიაში, შენც ისე იცხოვრეო“, – ამბობს მამა ელიზბარი.

ის არ გამორიცხავს, რომ დედა პარასკევასა და დედა ქეთევანს შორის შეხლა-შემოხლა მართლაც იყო.

„დედა ქეთევანი არ გამოირჩევა მოთმინებით და ფიცხი ხასიათის გახლავთ. არაა გამორიცხული, რომ ამ სიფიცხის გამო ერთმანეთში ჰქონდათ შეხლა-შემოხლა. იმ წუთში, იმ შენიშვნებისთვის, რაც მან მისცა დედა პარასკევას, დედა ქეთევანი მართალია. „თავში ჩამარტყა“, „თმები მომჩეჩა“, „კაბა შემომარღვია ტანზე“ და ესენი ცოტა გაზვიადებულია. ალბათ, შეხლა-შემოხლა მოხდა, რადგან სახლიდან არ გამოდიოდა და ძალით გამოიყვანეს. მე არ ვიცი დეტალები, არც არის საინტერესო. მონაზონი ნიშნავს, რომ ამქვეყნიური სიამოვნებისთვის მკვდარი ხარ. მონაზვნად კურთხევის დროს იკითხება ლოცვა, რომ თითქოს მოკვდა ამ ქვეყნისთვის და დაიბადა ხელახლა,



ღვთისთვის სამონაზვნო სამსახურისთვის“, – აღნიშნავს მამა ელიზბარი.

მისი თქმით, მამა გაბრიელის საფლავზე შემოსული შემოწირულობები, წესით, მონასტერს უნდა მოხმარებოდა, მაგრამ თანხას დედა პარასკევა ითვლიდა, ამიტომ მას გარკვეული შემოსავლის წყარო მოაკლდა.

„ფულის კეთებაში იმას ვგულისხმობ, რომ, როდესაც დედა პარასკევა საფლავთან ცხოვრობდა, მიდიოდნენ, საფლავზე სიწმინდეს იღებდნენ და ნებაყოფლობით შემოწირულობას აკეთებდნენ. ვიღაც 2 ლარს, ვიღაც 50 თეთრს, 20 ლარს და ეს შემოსავლის წყარო იყო მისთვის. წესით, უნდა მოხმარებოდა მონასტერს, მაგრამ ვინ დაითვლიდა, რამდენი იყო. დედა პარასკევა ითვლიდა და რაღაცა შემოსავლის წყარო მას მოაკლდა“, – ამბობს მამა ელიზბარი.

მოძღვარი დედა პარასკევასთვის მამა გაბრიელის მანტიის ჩამორთმევის ფაქტსაც არ გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ სიწმინდეს ერთი კერძო მფლობელი არ შეიძლება ჰყავდეს და ის საპატრიარქოს უნდა გადაეცეს.

„მანტიის წართმევა თუ უნდოდათ, ეგ არ არის გამორიცხული, რომ მართალი იყოს. მანტია სიწმინდეა, რომელსაც ერთი კერძო მფლობელი არ შეიძლება ჰყავდეს. დედა პარასკევა იყო მამა გაბრიელთან ბოლო დღეებში, მაგრამ, რადგან მანტია დაუტოვა, ეს არ ნიშნავს, რომ საკუთარი თავის მეტს არავის შეახებინო და არ ანახო. ეს სიწმინდე საპატრიარქოს უნდა გადაეცეს“, – განაცხადა მამა ელიზბარ დეკანოიძემ. (კვირა)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ფინანსთა მინისტრი ეკონომიკის 5-პროცენტიან ზრდას ვარაუდობს



როგორც ფინანსთა მინისტრი აცხადებს, გასულ წელთან შედარებით, ქვეყნის ეკონომიკა დაახლოებით 8 პროცენტით არის გაზრდილი.

„პირველი კვარტალის მონაცემები დამაიმედებელია და ადასტურებს, როგორც საქართველოს მთავრობის, ისე მსოფლიო ბანკის პროგნოზების რეალისტურობას. რაც შეეხება წყაროებს, გასახარი ის არის, რომ არის ექსპორტის ზრდა და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, კერძო სექტორის გააქტიურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში ჩვენი გეგმა არ არის შეცვლილი. ისევ ვამბობთ, რომ იქნება მინიმუმ 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, თუმცა პირველი კვარტალი უფრო ოპტიმისტური იმედების საშუალებასაც გვაძლევს. გასულ წელთან შედარებით ეკონომიკა დაახლებით 8 პროცენტითაა გაზრდილი“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მინისტრის ინფორმაციით, იანვარში ზრდა იყო 8,2 პროცენტი, თებერვალში დაახლოებით – 5,5 პროცენტი, 8 პროცენტზე მეტი იყო მარტშიც, კვარტალურად კი აღნიშნული მაჩვენებელი 7,4 პროცენტს შეადგენს. (კვირა)

*მეშვიდე გვერდიდან*

დაუჯერეს საქართველოს მოსახლეობის 90%-ს, მაშინ „მივიღებთ“ ყველაზე უკანასკნელ მეთოდს. თქვენ წამოხვალთ სუყველა და კი არ შევვარდებით, შევალთ. შვილები ხომ გყავთ? თქვენს შვილებს არ უნდა გაფრთხილება? ჩვენ საკმარისი ხალხი ვართ, რომ მთელი საქართველო დაირაზმოს და მივიდეს იქა. ჯერ არ ვაპირებ და ვუყურებ კანონს.



**„მე პირველმა დავწერე, რომ ჟვანია იყო მოკლული, რომ უსუპოვიც ცალკე იყო მოკლული და გადაიყვანეს და ერთად დაასვენეს ესენი... მე რომ ვთქვი, ჟვანიაზე ესა, განაცხადეს, კიტოვანი საქართველოში არ შემოვუშვათო. აი, ესეა“**

**— თქვენ მობილიზაციას მოაწყობთ, თუ რას აპირებთ? უსუფაშვილმა უკვე განაცხადა, რომ მაინც მივიღებ ამ კანონსო.**

– რას ვაპირებ, ეგ ჩემი საქმეა..

**— ბარემ ისიც გვითხარით, რას აპირებთ რეალურად.**

– მაპატიეთ, რასაც გეუბნებით, დაწერეთ. მეც ვამბობ, რომ ეს კანონი არის მიუღებელი და ხალხი ამას არ დაუჭერს მხარს საქართველოში, დაწერეთ ეს, თუ შეიძლება, პირდაპირ და ჩვენც ამ ხალხის რიგებში ვდგევართ სუყველა. მივიღებთ მონაწილეობას იმაში, რომ ეს კანონი არ გავიდეს საქართველოში. იმიტომ რომ ყველას გვყავს შვილები და მე არ მინდა, რომ შვილები და შვილიშვილები ჰომოსექსუალისტები გახდნენ და, როგორ შევალთ, ეს ჩვენი საქმეა, გადავხტებით თუ გადმოვხტებით.

**— თქვენი ინტერვიუები მახსოვს, მოსკოვიდან ჩაწერილი, სადაც დადებითად აფასებდით „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლას. ახლა, სამშობლოში რაც ჩამოხვედით, იმავე აზრზე ხართ?**

– მაგათ გააკეთეს დიდი საქმე, როცა მიშა სააკაშვილი გადააგდეს, ასეთი დიდი საქმე სხვას არავის არ გაუკეთებია. ეს გააკეთა „ოცნებამ“ და მოხარული ვარ, რომ ეს შეძლეს, სააკაშვილის რეჟიმს როგორც მოუღეს ბოლო. ამ ხელისუფლების ყველაფერი მომწონს, გარდა უსუფაშვილის, ამ პარლამენტის ხელმძღვანელის ქცევისა, რომ ასეთ უცნაურ კანონებს იღებს. ეს არის გასაღიზიანებელი და მარტო ჩემს გაღიზიანებაზე არ არის ლაპარაკი, ეს აღიზიანებს მთელ საქართველოს. და რაც მთავარია, მართლმადიდებლურ ეკლესიას. ეკლესია კი ხელს უშლის ამ უსუფაშვილის კანონების მიღებას.

**— ფაქტია, ეგ მთლად მარტო უსუფაშვილის მიერ მიღებული კანონი ნამდვილად არ არის. კითხვა მაქვს, არ მახსოვს, კონკრეტულად ვის, მაგრამ რამდენიმე „ნაციონალს“ მოსკოვიდან ემუქრებოდით, იყო ასე?**

– მეე?

**— სწორედ თქვენ და რა, არა?**

– ნაციონალებს კი არა, მე ვემუქრებოდი იმას, ვისაც ცუდი ენა აქვს და ამახინჯებდა იმ ისტორიებს, რაც ხდებოდა საქართველოში.

**— ვის გულისხმობდით?**

– აბა, რა ვიცი, ვის ვგულისხმობდი(?). აღარ მახსოვს. კაცმა უნდა იცოდეს სინამდვილეში ის ისტორია, აი, რა მოხდა, როგორ მოხდა და არა ბრმად იძახდნენ ყველაფერს. ამას ისინი იმიტომ აკეთებდნენ, რომ მოეგოთ ვიღაცის გული. ეგრეც ხდებოდა, ეს იყო პოლიტიკური ნაბიჯები. კონკრეტულად ვინ აკეთებდა, არ მახსოვს(!)

**— ისიც ცნობილია, რომ წლების წინ ამბობდით, ჟვანიას სიკვდილის შესახებ ბევრი ვიციო (მაწყვეტინებს)...**

– მე პირველმა დავწერე, რომ ჟვანია იყო მოკლული, რომ უსუპოვიც ცალკე იყო მოკლული და გადაიყვანეს და ერთად დაასვენეს ესენი. აი, ამას ვამბობდი.

**— რომ ჩამოხვედით, პროკურატურას თუ მიმართეთ, რომ დაეკითხეთ.**

– რა მოწმე? მე აქ არ ვიყავი, ჟვანია რომ მოკლეს, მერე ამერიკულმა



**„ამ ხელისუფლების ყველაფერი მომწონს, გარდა უსუფაშვილის, ამ პარლამენტის ხელმძღვანელის ქცევისა, რომ ასეთ უცნაურ კანონებს იღებს. ეს არის გასაღიზიანებელი და მარტო ჩემს გაღიზიანებაზე არ არის ლაპარაკი, ეს აღიზიანებს მთელ საქართველოს. და რაც მთავარია, მართლმადიდებლურ ეკლესიას“**

ექსპერტებმა რომ დაწერეს, გაზით გაიგუდაო, უსუპოვის ფეხსაცმელი რომ ვერ იპოვეს, გაჩნდა ეჭვი, რომ ჟვანია იყო მოკლული. აი, რატომ მოკლეს ნინუა, როგორ მოკლეს ფინანსთა მინისტრი დვალიშვილი, ამას არავინ აქცევს ყურადღებას, როგორ მოკლეს გამსახურდია, როგორ მოკლეს ესენი, ამაზე ბოლო-ბოლო ვინმემ უნდა გასცეს პასუხი. მე რომ ვთქვი, ჟვანიაზე ესა, განაცხადეს, კიტოვანი საქართველოში არ შემოვუშვათო. აი, ესეა.

**— ეს წინა ხელისუფლების დროს და თქვენ თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას, ახალ ხელისუფლებას უთხარით.**

– ეგენი დაინტერესდნენ და გამოიძიონ. ვინ მოკლა საჯაია? რატომ არ იძიებენ? რა, თავი მოიკლა? დვალიშვილი „პერერივზე“ გავიდა და თავი მოიკლა? თქვენ გჯერათ ეს ყველაფერი? ამას უნდა პატრონი, გამოიძიონ ყველა მკვლელობა. იმიტომ რომ სააკაშვილმა მოკლა ჟვანია, კვირაიამ და შევარდნაძემ მოკლეს გამსახურდია, და ასე. ვინმემ გამოიძია თამაზ ნინუას მკვლელობა? ამ მთავრობამ ეს ახსნას. ამდენი მკვლელობაა ჩადენილი და ამას მიხედონ, იმ კანონს კი ნუ ჩაებღაუჭნენ. ეტყობა, ვიღაცამ უთხრა და ჩაფრენილები არიან იმ ანტიდისკრიმინაციულ კანონს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „იდენტობამ“ ინგლისური ენის უფასო კურსების მსურველთათვის ხელახალი მიღება გამოაცხადა



როგორც „ლგბტ“ პირების უფლებადამცველ ორგანიზაცია „იდენტობაში“ აცხადებენ, კურსი პრე-ინტერმედიატე/ინტერმედიატე დონის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი. მსმენელები მასწავლებელთან პირისპირ ინტერვიუს შედეგად შეირჩევიან.

ინგლისური ენის კურსში ჩართვისა და ინტერვიუს თარიღით დაინტერესებულმა პირებმა „იდენტობის“ ვებგვერდზე წინასწარ სააპლიკაციო ფორმა უნდა შეავსონ.

„იდენტობამ“ უფასო ინგლისურ კურსებზე მიღება დაახლოებით ერთი წლის წინაც გამოაცხადა, თუმცა მაშინ განცხადების წარდგენისა და სწავლების კურსის გავლის შესაძლებლობა მხოლოდ „ლგბტ“ პირებს ჰქონდათ. რამდენიმე დღის წინ გამოცხადებულ მიღებაზე კი ეს შეზღუდვა მოხსნილია. „იდენტობის“ საკმაოდ მიმზიდველ შეთავაზებას თავიდანვე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საერო და სასულიერო საზოგადოების წარმომადგენელთა ნაწილში. „ლგბტ“ პირების დამცველი ორგანიზაციის შეთავაზებას მაცდურს და საფრთხისშემცველს უწოდებს უფლებადამცველი ზაზა გაბედავა.

„თავდაპირველად, როდესაც ამ ორგანიზაციამ უფასო ინგლისურის კურსების შესახებ გამოაცხადა, მაშინაც ძალიან მწვავე რეაქცია მქონდა. თუ ეს ორგანიზაცია ადამიანების უფლებების დამცველად გვევლინება, რატომ მისცეს მაშინ მხოლოდ და მხოლოდ „ლგბტ“ პირებს ინგლისურის უფასოდ დაუფლების შესაძლებლობა და არ მისცეს ჩვეულებრივი ორიენტაციის მქონე ხალხს? იმიტომ, რომ ეწევიან მამათმავლობის წახალისებას, სტიმულს აძლევენ მათ. თუ ხელახლა გამოცხადებულ კონკურსში ასეთი შეზღუდვა არ აქვთ – ესეც საშიშია. ალბათ, იმედი აქვთ, რომ იქ მისულ ჩვეულებრივი ორიენტაციის ადამიანებს დაანახვებენ, როგორი „ჩვეულებრივები“ არიან „ლგბტ“ პირები. ადამიანს ინგლისურის შესწავლა მამათმავლობის ხელშემწყობისგან რატომ უნდა გინდოდეს, თუ საღად აზროვნებ? არ მესმის“, – განაცხადა გიორგი გაბედავამ.

„იდენტობაში“ აცხადებენ, რომ ამ ერთი წლის მანძილზე მათი შეთავაზებით ბევრი მსურველი დაინტერესდა. ორგანიზაციაში იმედოვნებენ, რომ ხელახალ შეთავაზებასაც ბევრი გამოხმაურება ექნება. (კვირა)

## შესაძლოა, პირველი მაისი უქმე დღედ გამოცხადდეს




პროფკავშირების თავმჯდომარის, ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, პრემიერის მხრიდან მათ ყველა ინიციატივასა და შენიშვნას პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა და პირობა მიიღეს, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში არსებული პრობლემები მოგვარდება.

„ამასთანავე, ვთხოვეთ პრემიერს, რომ შრომის საერთაშორისო დღე საქართველოში უქმე დღედ გამოცხადდეს, რის შემდეგაც პრემიერმა მიმართა დავით სერგეენკოს და მომავალი წლიდან შრომის საერთაშორისო დღე შესაძლებელია უქმე დღე იყოს“, – განაცხადა ირაკლი პეტრიაშვილმა.

შრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის ყოფილი შენობის წინ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ასობით ადამიანი შეიკრიბა. აქციის ბოლოს კონცერტი გაიმართა. (კვირა)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მოვითხოვ, „გაურკვეველ ფონდებს“ არასამთავრობოების დაფინანსება კანონით აეკრძალოთ“



სკანდალური კადრების ავტორი ლადო ბედუკაძე უცხო ქვეყნების „გაურკვეველი ფონდებიდან“ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების ქართული კანონმდებლობით აკრძალვას ითხოვს. როგორც ბედუკაძემ განაცხადა, მისი აღშფოთება კამპანიაში – „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“ – ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებმა გამოიწვია, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოსახლეობას ისევ უსმენენ. ბედუკაძე აღნიშნული ხასიათის განცხადებებს შს სამინისტროს დისკრედიტაციის მიზანმიმართულ მცდელობას უწოდებს. მისთვის გაუგებარია, რატომ არ უჩნდებოდათ აღნიშნულ „არასამთავრობოებს“ მოსმენებთან დაკავშირებით პროტესტის გრძნობა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში.

„მე მაინტერესებს, სად იყო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნები“ „ნაციონალების“ დროს – როდესაც ხალხს რეალურად უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ? ამის დამადასტურებელი ასეულობით ფაილი არსებობს. დღეს ეს არასამთავრობოები მოსმენებთან დაკავშირებით შს სამინისტროს თითიდან გამოწოვილ ბრალდებებს უყენებენ და ჰაერში გასროლილი სიტყვებით უწყების დისკრედიტაციას ცდილობენ. ვფიქრობ, მათი განცხადებები დაკვეთილს უფრო ჰგავს. მაქვს ჩემი ვარაუდები, თუ ვინ შეიძლება იყოს ამის დამკვეთი. ამიტომაც ვითხოვ, ასეთი არასამთავრობოებისთვის „გაურკვეველმა ფონდებმა“ დაფინანსება ველარ შეძლონ და ეს მათ კანონით აეკრძალოთ“, – განაცხადა ბედუკაძემ. (კვირა)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რა უფრო მომგებიანია საქართველოსთვის, ევრაზიულ საბაჟო კავშირში შესვლა, თუ ევროკავშირში?



**კულუარული ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლების ემისრები მოსკოვთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რომ საქართველო ევროკავშირთან მხოლოდ ეკონომიკური ნაწილის ასოცირებაზე მოაწერს ხელს, ასევე შევა საბაჟო კავშირშიც, სამაგიეროდ, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესია არ განახორციელოთო.**

**თუკი ეს მართლაც ასეა და საქართველო საბაჟო კავშირს შეუერთდება, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ექნება ამას ჩვენი ქვეყნისთვის?**

„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში, **დემურ გიორხელიძე:**

– მე არ ვიცი, საბაჟო კავშირში შესვლა მოიტანს თუ არა რაიმეს ჩვენი ეკონომიკისთვის, რომლის 80%-მდე იმპორტზეა დამოკიდებული და ვერაფერი კეთდება საკუთარი კონკურენტუნარიანი რესურსების რეალიზაციისთვის, შედეგი ისეთივე იქნება, რაც გვაქვს. ასეთია ლოგიკა არსებული მდგომარეობის. ეს კავშირი არის გარკვეული ქვეყნების შეთანხმება, რომ საკუთარი ბაზარი და ურთიერთლიმიტი დაიცვან. იმპორტირებულ საქონელზე, ისეთ საქონელზე, რომელიც ამ ზონაში იწარმოება, ცხადია, შეზღუდვები წესდება და მანქანებიც მათ შორის არის. რუსეთში ძალიან მაღალია საბაჟო გადასახადი ავტომობილებზე, მაგრამ ეს ამ ბაზრის დადებითად ან უარყოფითად შეფასების საშუალებას არ იძლევა.

თავის ბაზარს ევროკავშირიც ისევე აკონტროლებს, როგორც საბაჟო კავშირი. მაგალითად, აიღეთ საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება, იმდენი შეზღუდვაა და იმდენი უწვრილმანესი რეგლამენტაცია, რომ საქართველოსთვის ეს ხელშეკრულება ისეთივე ფარატინა ქაღალდად დარჩება, როგორც სხვა უპირატესობები, რომლებიც ევროკავშირმა ადრე მოგვანიჭა.

**— მაგალითად, რუსეთიდან, ან ყაზახეთიდან ჩვენი მოქმედი საწარმოები ნედლეულს განუბაჟებლად თუ შემოიტანენ, ხომ მეტი მოგება დარჩებათ, გაფართოვდებიან, ახალ სამუშაო ადგილებს ხომ შექმნიან? არის გაჩერებული საწარმოებიც, მათი ამუშავებაც ხომ შეიძლება?**

– არა, 1994 წლიდან არის აშშ საქართველოში, რაიმე წარმოება „გააცოცხლა“? არა! აბა, რუსეთმა რატომ უნდა „გააცოცხლოს“? ეს ყველაფერი სისულელეებია. რუსეთს ამ საბაჟო კავშირით საბჭოთა კავშირის მსგავსად უნდა ყოფილი რესპუბლიკების რაღაც ფორმით დამორჩილება და გაერთიანებაა, მაგრამ არ შეიძლება ეს რაიმე ფორმით აღდგეს. ეს ეწინააღმდეგება დროს და განვითარების ლოგიკას. ეს სულ სხვა სტრატეგიაა, რა ეკონომიკურ შეღავათებს ველოდებით რუსეთისგან? არავინ გარჩენს, ქართველმა ეს ილუზია უნდა დაივიწყოს. რატომ გაუჩნდება რომელიმე ქვეყანას სურვილი, რომ ქველმოქმედება გაგიწიოს და კარგი ეკონომიკური პირობები შეგიქმნას?

**— აბა, სომხეთი რატომ შევიდა საბაჟო კავშირში? ევროპიდან ჩამოსაყვანი მანქანების ფასი სომხებს ლამის გაუოთხმაგდათ და როგორც მითხრეს, იქაური მოსახლეობა ლამის გაგიჟებულია. თუკი რამე სარგებელი არ აქვს, რატომ გადაიკიდეს მოსახლეობა, გამააგებინეთ...**

– ეს სულ სხვა პოლიტიკური პრობლემებია. საქართველოსავით გამოთაყვანებულ პოლიტიკას არ ეწევა... თავისი ქვეყნის დაშლას საკუთარი ხელით არ გააკეთებს. გეუბნებით, ამ ეტაპზე ამ კავშირში შესვლით დადებითს ვერაფერს მივიღებთ და მერე რა იქნება, არ ვიცი.

**— ევრაზიულ საბაჟო კავშირს „გადავუსვით ხაზი“. ევროკავშირთან შეთანხმებითაც ვერაფერს ვიგებთო. აბა, რატომ გვამშვიდებს ხელისუფლება, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მერე გვეშველებაო?**

– რეალობა ასეთია: როცა მოცულობით ბაზარზე შედიხარ, მინიმუმ უნდა გქონდეს ეკონომიკური პოტენციალი, კონკურენტუნარიანი საქონელი და რეგულარულად სტანდარტიზებული საქონლის მიწოდების უნარი. ამის მსგავსი საქართველოს არაფერი გააჩნია. ეს უფრო სამომავლო სტიმულებს უნდა იძლეოდეს, რომ ჩვენ ჩვენს რესურსებს შესაძლოა ისეთი მობილიზაცია გავუკეთოთ, რომ ევროკავშირის ბაზრისთვის ძალიან საინტერესო პროდუქცია შევქმნათ. ამის შანსი, რა თქმა უნდა, არსებობს, განსაკუთრებით გადამამუშავებელ მრეწველობაში, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ეს არაფერს იძლევა, იმიტომ რომ ევროკავშირში ისეთ პროდუქციას ვერ შეიტან, რომლის ფასიც ანალოგიურ პროდუქციაზე ნაკლები იქნება. ხარისხზე ძალიან მკაცრი შეზღუდვებია. ჩვენ კიდევ ხარისხის ინფრასტრუქტურა, სტანდარტიზაციის ტექნიკური პირობების ინფრასტრუქტურა საერთოდ მოშლილი გვაქვს. ეს შეიძლება კარგი საფუძველი იყოს, რომ საქართველოში ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯების გადადგმა დაიწყოს. ამის ნაცვლად გაისმის, რომ ჩვენთვის ეს რეგულაციები ნაადრევიაო. ესე იგი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თურმე არ არის საჭირო და დანარჩენი, რომელიც შედეგს ვერ მოგცემს, დღევანდელი ეკონომიკის სისუსტის გამო, ის თითქოს ძალიან მნიშვნელოვანია. მოკლედ, ასეთი ეიფორია, ალტკინება არის ამ ხელშეკრულებით და უახლოესი ერთი-ორი წელი გამოაჩენს იმას, რასაც მე ვამბობ.

პრობლემები თავისთავად გაჩნდება, რადგან საქართველოსთვის არა მარტო ევროკავშირის ბაზარი იხსნება, არამედ საქართველოს ბაზარიც სიმეტრიულად ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციისთვის. აქ კი ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება, იწარმოება, დაწყებული უმაღლესი ტექნოლოგიებით, უწვრილმანესი საყოფაცხოვრებო ნივთებით დამთავრებული. ამიტომ საქართველოში ეს პროდუქცია უპრობლემოდ შემოაღწევს და ასეთი მკვდარი პოლიტიკის პირობებში უკანასკნელ სტიმულებსაც ჩაკლავს. როდესაც სამთავრობო პოლიტიკა კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნასა და რეალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე გათვლილი არ არის, ჩვენ თავს თუ მოვიტყუებთ, თორემ საქართველოში არანაირი საბაზრო ეკონომიკა არ არის. გვაქვს კვაზისაბაზრო ეკონომიკა, რომელიც კვლავ და კვლავ ხელისუფლების მიერ იმართება და ხელისუფლებასთან დაახლოებუ-

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ზაურ ლაზარაშვილი, მეტსახელად „იაპონკა“, ზვიად გამსახურდიას შვილია?




საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრი, სამოქალაქო ანტიტერორისტული ორგანიზაციის“ დამფუძნებელი თენგიზ კიტოვანი, დვანში იმყოფებოდა ზაურ ლაზარაშვილის, მეტსახელად „იაპონკას“, ნათესავების სანახავად. „იაპონკას“ ოჯახის წევრთა განცხადებით, იგი საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას არაოფიციალური ვაჟია და საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ იარაღის უკანონო ტარებისა და ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ბრალდებით 4 წლით გაასამართლა. კიტოვანმა დვანში ვიზიტი თავიდან კატეგორიულად უარყო, თუმცა შემდეგ დაადასტურა და ისიც დასძინა, რომ „იაპონკას“, იგივე ზაურ ლაზარაშვილს, პირადად იცნობს.

„დიახ, მას ოთხი წელი მიუსაჯეს. იარაღი და წამალი ჩაუდეს. მოსამართლე და პროკურორიც ძალიან ცუდად და არასწორად მოიქცნენ. 4 წელი უკანონოდ მიუსაჯეს. კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ზაურს ებრძვიან, არის ის, რომ ლაზარაშვილი ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერია“, – განაცხადა თენგიზ კიტოვანმა. ზაურ ლაზარაშვილი რამდენიმე თვის წინ იარაღის უკანონო ტარებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ბრალდებით დააკავეს. „იაპონკა“ ქვეყნის ხელისუფლების შეცვლისა და 2013 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ დააპატიმრეს. (ფრონტნიუსი)

## ნინო ბურჯანაძე: „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას ვერასდროს მივიღებ“



კანონპროექტის მიღებამდე, პარლამენტის თავმჯდომარემ კანონპროექტის გარშემო ატეხილი ხმაური პოლიტიკური სპეკულაციებით ახსნა. მან განმარტა, რომ არა ძალადობას“, „არა დისკრიმინაციას“, „მეტი ჰარმონია საზოგადოებაში“ – ევროპული არჩევანია და რომ სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციის დაუშვებლობას საქართველოს სხვადასხვა კანონმდებლობა ისედაც ითვალისწინებს.

„2004 წელს არის ეს კანონპროექტი მიღებული, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე იყო და ის ახლა აცხადებს, რომ თურმე ჩვენ შემოგვაქვს რაღაც ახალი ტერმინი და რაღაც ახალს ვაკანონებთ“. – განაცხადა უსუფაშვილმა, რომელსაც ნინო ბურჯანაძე გამოეხმაურა.

„ვერასდროს მივიღებ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას, ინცესტის დაკანონებას. ვისაც უნდა და ნორმალურად მიაჩნია და ძმასა და დედა-შვილს შორის ურთიერთობა – ამის თქმაც კი მზარავს და არის ქვეყნები ევროპაში, სადაც ეს დაკანონებულია, თავის საქმე თვითონ იციან. ჩემს და ჩვენს ქვეყანაში ეს მიუღებელია. თუ არჩევანი ასე დგას – ინცესტის ნორმად აღიარება თუ დარჩენა იქ, სადაც ვართ (და მე რუსეთში არ ვარ, მე საქართველოში ვარ), მე მინდა ჩემს ქვეყანაში დავრჩე“. – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. (რუსთავი 2)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მოზარდის გაუპატიურებისთვის დაკავებულ უცხოელებს პატიმრობა შეეფარდათ



თბილისის საქალაქო სასამართლომ 15 წლის ბიჭის გაუპატიურების ფაქტზე ერაყის სამ მოქალაქეს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. ამგვარად პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. სასამართლოს სხდომას ბრალდებულებიც ესწრებოდნენ, ისინი სამართალდამცველებმა ზანდუკელის 2 ნომერში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით 29 აპრილს დააკავეს. გამოძიება 2 ბრალდებულს 15 წლის მოზარდის მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობას ედავება. მესამე პირს კი ბრალად დანაშაულის დაფარვა ედება.

პროკურატურის ინფორმაციით, ის დანაშაულს აღიარებს. მძიმე დანაშაულში ბრალდებულები ამ დრომდე დუმილის უფლებას იყენებენ. სასამართლო პროცესი დახურული იყო. ეს გადაწყვეტილება მოსამართლემ საქმის გარემოებებიდან და მოზარდის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო. (ნიუპოსტი)

## ვის ემუქრებიან ქუთაისელები ჯოჯოხეთის ცეცხლით?



ქუთაისში, პარლამენტის წინ შეკრებილმა აქციის მონაწილეებმა მიხეილ სააკაშვილის, ედუარდ შევარდნაძის, ბიძინა ივანიშვილისა და ლენინის ფოტოები დაწვეს.

როგორც აქციის მონაწილეები აღნიშნავდნენ, სწორედ ამ ადამიანებს შემოჰქონდათ დესტაბილიზაცია ქვეყანაში და ცდილობდნენ ქვეყნისთვის დამღუპველი კანონების მიღებას

„ყველა ადამიანს, ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონს მიიღებს, ჯოჯოხეთის ცეცხლი სანატრელი გაუხდება. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, მიიღონ კანონი, რომელიც ქართველობას ეწინააღმდეგება“, – აცხადებდნენ აქციის მონაწილეები. (ინტერპრესნიუსი)

*მეცხრე გვერდიდან*

ლი კლანებისთვის სათარეშო ზონაა.

ევროკავშირის ბაზარზე გასვლა სტიმულს უნდა იძლეოდეს, რომ ჩვენ კონკურენტუნარიანი გარემო შევქმნათ, ამის მაგვარი კი ჯერ არაფერი კეთდება, თუ კეთდება კიდევ და ფორმალური ხასიათისაა, ამიტომ ევროკავშირის ბაზარი საქართველოსთვის მიუწვდომელი იქნება, გარდა მცირე გამონაკლისებისა. ჩვენ იმ ბაზრებსაც დავკარგავთ, რომლებზეც ტრადიციულად ვიყავით.

— **რუსეთის ბაზარს გულისხმობთ?**

– დიახ, რა თქმა უნდა, არა პოლიტიკის გამო, არამედ უფრო იმიტომ, რომ არაფერი გვაქვს გასატანი. ღვინო და წყალი, რისი გატანაც შეიძლებოდა, მიემატება კიდევ მწვანილი და რაღაცები, ეს გავა, მაგრამ მეტი გასატანი არც არაფერი გვაქვს. ყველა ბაზარი კარგია, სადაც რაიმეს ყიდი, ევროკავშირი იქნება ეს თუ საბაჟო კავშირი.

— **ასეთი კითხვა მაქვს: ხელისუფლებამ რა განცხადებებიც არ უნდა აკეთოს, ეკონომიკურ ვარდნას ყველანი საკუთარ ტყავზე ვგრძნობთ. რას უნდა აკეთებდეს და არ აკეთებს ხელისუფლება?**

– იმ ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, რომელმაც განვითარების კონცეფცია, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა გააკეთა და ყველაფერი ძალიან დეტალურად მაქვს წარმოდგენილი. სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას ეს არ სჭირდება, რადგან საკუთარი შეხედულებები გააჩნია, მაგრამ ეს შეხედულებები შედეგს ვერ იძლევა. როცა რაიმე შეხედულებები შედეგს ვერ იძლევა, ეს შეხედულებები ყოველთვის მცდარია. ორი წელი გადის უკვე და ჩვენ არ გვაქვს ის, რაც მთავარი იყო, ეკონომიკის ზრდა. ეკონომიკის ზრდაში მე ვგულისხმობ არა ფორმალურ ზრდას, არამედ არსობრივად იმ მდგომარეობის შეცვლას, როცა დასაქმებაში ხელშესახები შედეგებია მიღწეული, როცა შემოსავლები ადამიანთა დიდ რაოდენობაში გაჩენას ნელ-ნელა იწყებს. ამის მსგავსი არაფერი ხდება. პოლიტიკის სისუსტის იმ პროპაგანდით გადაფარვა, რომ ახლა ჩვენ ევროკავშირთან მოვაწერთ ხელს და იბერია გაბრწყინდება, მერწმუნეთ, ნამდვილად არ გაბრწყინდება. ჩემი სიტყვები კარგად დაიმახსოვრეთ, ჩვენ ორი წლის მერე ეკონომიკურად უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიქნებით, ვიდრე დღეს ვართ. ამის მოგვარებას სჭირდება სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ჯერჯერობით არ არის და არც ჩანს, რომ იქნება.



**„აბა, სომხეთი რატომ შევიდა საბაჟო კავშირში? ევროპიდან ჩამოსაყვანი მანქანების ფასი სომხებს ლამის გაუოთხმაგდათ და როგორც მითხრეს, იქაური მოსახლეობა ლამის გაგიჟებულია. თუკი რამე სარგებელი არ აქვს, რატომ გადაიკიდეს მოსახლეობა, გამაგებინეთ...“**



**„იმ ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, რომელმაც განვითარების კონცეფცია, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა გააკეთა და ყველაფერი ძალიან დეტალურად მაქვს წარმოდგენილი. სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას ეს არ სჭირდება, რადგან საკუთარი შეხედულებები გააჩნია, მაგრამ ეს შეხედულებები შედეგს ვერ იძლევა“**

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვინ ეხმარება უკრაინას და რაზე ესაუბრა პუტინი მერკელს?

კიევი ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქებში სიტუაციას, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებს. ასობით პრორუსმა აქტივისტმა დონეცკის საოლქო პროკურატურა შტურმით აიღო. არიან დაშავებულები. თავდამსხმელი ადამიანები შენობის დამცველ მილიციელებს ქვებს უშენდნენ, ისინი კი ცრემლსადენი გაზითა და ხმოვანი ყუმბარებით პასუხობდნენ. სეპარატისტებმა მილიციონერები განაიარაღეს და შენობიდან გაიყვანეს. უკრაინის ხელისუფლება ქვეყნის აღმოსავლეთში სახელმწიფო ადმინისტრაციის შენობების აღების ორგანიზებაში რუსეთს ადანაშაულებს.

უკრაინაში არსებული ვითარება კრემლის ლიდერმა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან ტელეფონით განიხილა. არსებული ინფორმაციით, მერკელმა პუტინს სთხოვა, განახორციელოს მოქმედებები უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში დაკავებული სამხედრო დამკვირვებლების, მათ შორის გერმანელების, გასათავისუფლებლად.

პუტინმა კი განაცხადა, რომ „ახლა ყველაზე მთავარია – სამხედრო ქვედანაყოფების გამოყვანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებიდან, ძალადობის შეწყვეტა და ყველა რეგიონისა და პოლიტიკური ძალის ჩართვით, კონსტიტუციური რეფორმის პროცესის ფარგლებში ფართო ეროვნული დიალოგის დაუყოვნებლივი დაწყება“, – აცხადებს კრემლის პრესსამსახური.

გერმანიის ფედერალური კანცელარია ამ საუბარზე ჯერჯერობით არაფერს იტყობინება.

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი კი, რუსეთის წინააღმდეგ ზომების მიღების საკითხში, გადამწყვეტი ქმედებების მომხრეა. მისი განცხადებით, აშშ-ის მიერ რუსეთთან მიმართებით შემზღუდავი ზომები იმის გამო მიიღეს, რომ მოსკოვმა ევროპის საზღვრების ხელშეუხებლობის ფუნდამენტური პრინციპი დაარღვია.



ბაიდენმა ევროპას მოუწოდა, „განიხილოს ენერგეტიკული უსაფრთხოება ევროპული და ტრანსატლანტიკური ინტეგრაციის ახალი ფაზის ხარისხში“, რადგან ფიქრობს, რომ მოსკოვი რეგიონში მეზობლებზე ზეწოლისთვის ენერგორესურსებს იყენებს. ბაიდენმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი კორუფციის მაღალი დონე გახდა.

„უკრაინა დამოუკიდებელია უკვე 25 წელია, თუმცა თავის მიზნებს ვერ მიაღწია“. – აღნიშნა ვიცე-პრეზიდენტმა.

უკრაინას დახმარების ხელს უწვდის მსოფლიო სავალუტო ფონდი, რომელმაც ფინანსური მხარდამჭერი პროგრამის **stand-by**-ის ფარგლებში, ქვეყნისთვის 17-მილიარდიანი კრედიტის გამოყოფა გადაწყვიტა. უკრაინა, პირველ ეტაპზე სასწრაფო წესით გამოყოფილ 3,190-მილიარდიან ტრანშს, სავარაუდოდ, 5-8 მაისისთვის მიიღებს.

„მთავრობის ეკონომიკური პროგრამა ფონდის დახმარებით მიმართულია მაკროეკონომიკური სტაბილურობის აღდგენისა და ეკონომიკური მართვისა და გამჭვირვალობის აღდგენისკენ“, – ნათქვამია საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტისა და ნატო-ს გენერალური მდივნის შეხვედრა დაიგეგმოს



პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ გამოხატა სურვილი, უახლოეს მომავალში საქართველოს პრეზიდენტი ესტუმროს ბრიუსელს ნატო-ს გენერალურ მდივანთან ანდერს ფოგ რასმუსენთან შესახვედრად. მხარეებმა ასევე განიხილეს ნატო-ს სამიტთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც სექტემბერში დიდ ბრიტანეთში გაიმართება. საუბარი შეეხო საქართველოს პროგრესს, ნატო-ში ინტეგრაციის პროცესსა და ამ მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს. გიორგი მარგველაშვილმა და ჯეიმს აპატურაიმ რეგიონში არსებულ ვითარებაზეც იმსჯელეს და უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრეს. ნატო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პარალელურად, საქართველო ცდილობს, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რატომ არ აწერს ხელს გურამ ოდიშარია დავით კინწურაშვილის დანიშვნის ბრძანებას?

ოპერისა და ბალეტის თეატრის დასის წევრები კულტურის სამინისტროსთან შეიკრიბნენ და მინისტრისგან მათ მიერ არჩეული სამხატვრო ხელმძღვანელს თანამდებობაზე დამტკიცება მოითხოვეს. მათ სამინისტროდან მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი გამოეხმაურა. მისი განცხადებით, დავით კინწურაშვილის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულია, მინისტრი გურამ ოდიშარია დავით კინწურაშვილს გასული კვირის პარასკევს შეხვდა და ამ საკითხზე ისაუბრეს.



„ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა არჩევნები, დასმა აირჩია თავისი სამხატვრო ხელმძღვანელი. როგორ გგონიათ, მინისტრი არ მოაწერს ხელს?! უარვყოფ, რომ ეს პროცესი ხელოვნურად ჭიანურდება“, – აღნიშნა ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ და ის მიზეზები დაასახელა, რატომ არ მოხდა დღემდე დასის მიერ არჩეული სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცება.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, მიზეზი ის არის, რომ მინისტრი გურამ ოდიშარია შვებულებაში იმყოფებოდა, შემდეგ მივლინებებში. დღეს კი ოდიშარია სამსახურში არ არის. ხვალ ქუთაისში უნდა ჩავიდეს, საიდანაც რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდება და ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დავით კინწურაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით ბრძანებას ხელს მოაწერს. (ნიუპოსტი)



# ვალერი გელბახიანი: „უსუფაშვილი იტყუება...“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტთან დაკავშირებით აცხადებს, რომ გულწრფელად გაკვირვებულია იმ შექმნილი აჟიოტაჟით, რაც ამ კანონპროექტს მოჰყვა, რადგან 1997 წლის პარლამენტიდან მოყოლებული, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ტერმინი არაერთხელ გამოუყენებია საქართველოს პარლამენტს და არაერთი ჩანაწერი გაკეთებულა.

„...ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღებით ვუსმენთ საზოგადოების მოსაზრებებს ამ თემაზე, მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქის ბოლო გამოცხადება, სადაც მან გვთხოვა, რომ კიდევ ერთხელ გვემსჯელა, რამე ხომ არ ლამენტს ამ კანონპროექტით შემოაქვს ახალი ტერმინები საკანონმდებლო სივრცეში – „სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა“. არადა, სწორედ ამას აჟიტირებენ ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები, გარკვეული წრეებიდან და სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია გავრცელდა საზოგადოებაშიც. მინდა მოგახსენოთ, რომ ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“ და ამ ნიშნის გამო დისკრიმინაციის დაუშვებლობა საქართველოს კანონმდებლობაში გვხვდება 1997 წლიდან მოყოლებული. 1997 წელს ჩაიწერა პირველად, რომ ამ ნიშნით დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია და მისთვის სათანადო ყურადღების არმიპყრობა სამედიცინო პერსონალის მხრიდან. ეს საკითხი განვითარდა და 2004 გვეშლება ამ კანონპროექტთან დაკავშირებით და რამე ხომ არ არის კიდევ შესასწორებელი, პარლამენტმა ეს გაითვალისწინა... ეს ორი დღე ძალიან ინტენსიური კონსულტაციები გრძელდება ყველასთან, ვინც ამ საკითხით დაინტერესებულია და როგორც მოსალოდნელი იყო, ირკვევა, რომ ბევრი რამ ან ნაკლები ინფორმირებულობის ბრალია საზოგადოებაში, ან ადგილი აქვს შეგნებულ მცდელობას პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ყურადღება იქნას გადატანილი სხვა მიმართულებით... და ეს არ არის მხოლოდ ჩემი დაკვირვება, ეს არის ძალიან კონკრეტული ფაქტები. არასწორია ის მტკიცება, რომ პარწელს, საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონში ჩაიწერა, რომ მაუწყებელსა და ყველა ტელევიზიას ევალება შემდეგი რამ: იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისკენ. 2004 წელსაა მიღებული ეს ცვლილება, მოგეხსენებათ, პარლამენტის თავმჯდომარე ბრძანდებოდა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე მაშინ, იმ პოლიტიკური გუნდის ლიდერი, რომელსაც თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატი წარმოადგენს და რომელიც ყველაზე მეტს საუბრობს იმაზე, რომ თურმე ჩვენ შემოგვაქვს ახლა რაღაც ახალი ტერმინი და ამით რაღაცას ვაკანონებთ ახალს.

ეს საკითხი განვითარდა შრომის კანონთა კოდექსში, რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული ასევე და სადაც ჩაიწერა, რომ შრომითი და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების და ა.შ. ამ ყველაფრის გამო. აქვე ჩაიწერა, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, ანუ ახლა რომ გვიკიჟინებენ, რომ თურმე ახალს ვადგენთ, როცა არაპირდაპირ დისკრიმინაციაზე ვსაუბრობთ.

შესაბამისად, მეგობრებო, ყველას მივმართავ, რომ არ წამოვეგოთ აი, ამ პოლიტიკურ სპეკულაციაზე გარკვეული ჯგუფების მხრიდან, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება და ამბობენ, რომ ამ კანონში ვხმარობთ ჩვენ ამ ტერმინს და ამით რაღაცას ვამკვიდრებთ. ისევე, როგორც ამ ჩამონათვალში, როდესაც წერია, რომ რელიგიური ნიშნით დაუშვებელია ვინმეს დისკრიმინაცია, ნიშნავს ეს, რომ ჩვენ რომელიმე არაქრისტიანული რელიგიის პროპაგანდას ვახდენთ?. ხომ არ ნიშნავს ამას და ამას ხომ არავინ არ გვეუბნება?.. ან როცა ვწერთ, რომ ეროვნული კუთვნილების მიუხედავად არ შეიძლება ადამიანის დისკრიმინაცია, ეს ნიშნავს, რომ რომელიმე სხვა ერის პროპაგანდას ვახდენთ?.. არა, რა თქმა უნდა. ასევე, როდესაც სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობაზეა საუბარი, ამით არ ხდება არავის და არაფრის პროპაგანდა, ერთი რამის გარდა, დიახ, ამ კანონის ამოცანაა, პროპაგანდა იმისა, რომ ძალადობა არის დანაშაული, ცოდვა და მიუღებელი თანამედროვე

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გუბაზ სანიკიძე: „ეკლესია ჩვენი სინდისია, ხანდახან შეგვაწუხებს, ბატონებო, და შევწუხდეთ!“

უმრავლესობის წარმომადგენელმა, გუბაზ სანიკიძემ, „ეროვნული ფორუმის“ სახელით, ანტიდისკრიმინაციული პროექტის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შიშები, რაც სასულიერო პირებისა და მრევლის მხრიდან გამოიხატა, პროექტში ჩადებული არ არის. მისივე თქმით, კანონის მიღება აუცილებელია, ხოლო „რაღაცის აუცილებლობა ხანდახან სასიამოვნო არ არის“.

„ჩემი გამოსვლის ადრესატი დღეს არის ქართველი ხალხი. ხალხის უმრავლესობა ინფორმირებული არ არის ამ კანონპროექტის შესახებ და ეს ხელისუფლების ბრალია, რადგან სათანადოდ ვერ ავხსენით, რაზეა საუბარი. ასევე, ჩვენი ხარვეზია ის, რომ ურთიერთობა არა მხოლოდ ქართულ სამოციქულო ეკლესიასთან უნდა გვქონოდა, არამედ ტრადიციული რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან – მუსლიმანებთან, იუდაისტებთან, კათოლიკეებთან და სომხური ეკლესიის წარმომადგენლებთანაც. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე რასაც ვუყურებ, მიდის ქართული ეკლესიის ბომბარდირება – შეგნებული თუ შეუგნებელი, ჩემი კოლეგებისა და არამხოლოდ მათი მხრიდან. უმრავლესობის წარმომადგენლების მიმართ ჩემი თხოვნა იყო, არგუმენტაციის დროს არ გამოგვეყენებია ჩვენი ისტორიული წინაპრები. ბატონო დავით, ვერ დაგეთანხმებით, რომ დავით აღმაშენებელი იყო ამის მომხრე, იმიტომ, რომ იგივე რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განჩინებაში წერია სექსუალურ უმცირესობებზე. ამიტომ დავანებოთ ამას თავი – თუ სიახლე შემოგვაქვს, შემოგვაქვს, რადგან თანამედროვეობას უნდა შევეწყოთ. მინდა ქართველ ხალხს ვუთხრა, რომ კანონპროექტში არაფერია რაიმე ახალი. თუ ვინმეს ამ კანონის ეშინია, ნუ ეშინია და თუ ვინმეს იმედი აქვს რაღაცის, იმედი ნუ ექნება. პირადად მე, „ეროვნული ფორუმის“ ფრაქცია კანონს ხმას ვაძლევთ და ვთლით, რომ აღნიშნული საკითხი საქართველოში იხურება, რადგან უფლებები თანასწორი ხდება, ხოლო თუ ვინმე მერე რაღაცებს გეგმავს, ამაზე შეიძლება პრინციპულად ველარ შევთანხმდეთ. ჩემო ქართველებო, მოქალაქეებო, აუცილებელია ასოცირების ხელშეკრულება ჩვენთვის. პოლიტიკურ ფლუგერიზმს თავი უნდა დავანებოთ, როცა ნიავი საითკენაც დაუბერავს, ხან იქით გავიზნიქებით და ხან აქეთ. ასოცირების ხელშეკრულება გვჭირდება და იმასაც გეტყვით, რომ საქართველოსთვის აუცილებელია, ადრე თუ გვიან, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება – ასოცირების ხელშეკრულება ამაშიც გვჭირდება“, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

გამოსვლისას დეპუტატმა არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართა და მოუწოდა, ქვეყნის შიგნით და გარეთ ისე ნუ წარმოაჩენენ, რომ ეკლესიაში არის ბნელი ძალები.




„ერთ ფაქტს გავიხსენებ – 2008 წლის ომის დროს არასამთავრობო ორგანიზაციები ცხინვალში არ მახსოვს. მღვდლები კი მახსოვს, გვამები რომ გამოჰქონდათ და დაჭრილები გამოჰყავდათ. კიდევ ის მღვდლები მახსოვს, როცა პოლიციის სამმართველოსთან, დარბევისას მომიტინგეებს იცავდნენ. ეკლესია არის ჩვენი სინდისი და ხანდახან შეგვაწუხებს, ბატონებო, და შევწუხდეთ! „ეროვნული ფორუმი“ კანონპროექტს ხმას იმიტომ ვაძლევთ, რომ ეკლესიას ავაცილოთ დარტყმა – ჩვენ ვიღებთ ამას პასუხისმგებლობად და პასუხს ვაგებთ ამ გადაწყვეტილებაზე“, – განაცხადა სანიკიძემ.

გუბაზ სანიკიძის გამოსვლის ადრესატი იყო მრევლიც, რომელსაც პატრიარქის რჩევებისადმი თანმიმდევრულობის გამოჩენისკენ მოუწოდა.

„კანონპროექტთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ზუსტად ის განცხადება გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა. პატრიარქს სხვა განცხადებებიც აქვს გაკეთებული, რომ „წიგნი იკითხეთ, „ფილოსოფიას დაეუფლეთ“, „ბუნებას მიხედეთ“. არ მახსოვს, რომ მისი ამ განცხადების მერე წიგნის მაღაზიებთან რიგები დადგარიყოს. ვაგრძელებთ მდინარეებში ნაგვის ჩაყრას და თევზების ელექტროდენით დახოცვას. ამიტომ პატრიარქის რჩევებთან თანმიმდევრულნი ვიყოთ“, – აღნიშნა სანიკიძემ. მან სასულიერო პირებსაც მიმართა.

„კანონპროექტი წავიკითხე ზემოდან ქვემოთ, ქვემოდან ზემოთ, დიაგონალზე, მერე გავხედე შუქში – არაფერი სახიფათო აქ არ წერია. ჩემო ძვირფასებო, გთხოვთ, ვიყოთ მიმტევებლები და ვიყოთ ქრისტიანები, ქრისტიანობა მარტო სიყვარული არ არის. ქრისტიანობა არის სიყვარული პლუს მოთმინება, დათმინება, ატანა... როცა რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებთ დაწყევლის ან ანათემაზე გადაცემის შესახებ, მინდა გაგახსენოთ, რომ 2500 წლის წინათ ერთმა ძალიან მაგარმა კაცმა მეორე ძალიან მაგარ კაცს – თემისთოკლემ ევრიპიდეს უთხრა: დამარტყი, ოღონდ მომისმინე. დამარტყით, ოღონდ მომისმინეთ. თქვენი გუბაზ სანიკიძე“, – განაცხადა დეპუტატმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ძლიერმა სეტყვამ თელავის რაიონის სოფლები მნიშვნელოვნად დააზარალა



წინანდალში, ქვემო ხოდაშენში, ბუშეტსა და ვანთაში დასეტყვილია ხეხილის ბაღები, ვენახები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სეტყვამ დააზიანა.

ადგილობრივების განმარტებით, სტიქია 20 წუთზე მეტხანს გაგრძელდა, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. სტიქიის ზონაში იმყოფებოდა კახეთის გუბერნატორის მოადგილე ზურაბ არსენიშვილი. მისი ინფორმაციით, ვანთასა და ბუშეტში ვენახები თითქმის 80% დაზარალდა.

სტიქიით მიყენებული ზიანის ოდენობას სპეციალური კომისია შეისწავლის. (რეპორტიორი)

## რუსეთში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს



თ. ვეკუა და გ. ნაჭყებია რუსეთში ქურდობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, მათ რამდენიმე ბინა გაძარცვეს. ქურდობასა და ძარცვაში ეჭვმიტანილები პირველ სართულზე მდებარე საცხოვრებელი სახლის ფანჯრის მინებს ამტვრევდნენ და საცხოვრებელ სახლში ისე აღწევდნენ. ქართველების საქმეს უახლოეს დღეებში სანკტ-პეტერბურგის სასამართლო განიხილავს. (კვირა)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

საზოგადოებაში და ძალადობას გამართლება ამ ნიშნებით: ენით, სქესით, რელიგიით, სექსუალური ორიენტაციით თუ ნებისმიერი სხვა ნიშნით, არ არის არც ცივილიზებული, არც კანონიერი და არც ქრისტიანული, აი, ეს წერია ამ კანონში.

ახლა, ამ ვითარებაში, როდესაც ჩვენ გვაქვს შეხება გულწრფელად შეშფოთებულ ადამიანებთან, რომლებსაც ხშირად შესაძლოა, სათანადო ინფორმაცია ვერ მივაწოდეთ და არაგულწრფელად პოლიტიკური ნიშნით ამ თემის აჟიტირებით დაკავებულ ადამიანებთან. ჩვენ უნდა განვასხვავოთ ეს ორი კატეგორია. ამიტომ, იმ ადამიანებთან, ვისაც გულწრფელად რაღაც აშფოთებთ და ჰქონდათ კითხვები და აქვთ კითხვები, ჩვენ მზად ვიყავით და მზად ვართ, ამ კითხვებზე ვუპასუხოთ, ჩვენ მზად ვართ, თუ ვინმეს უკმარისობის განცდა აქვს, რომ რაიმე ამ კანონში, ეს სიტყვები თუ ნებისმიერი სხვა სიტყვები არ იქნეს გამოყენებული საზოგადოებრივი მორალის, ზნეობის და სხვა ღირებულებების საწინააღმდეგოდ, ჩვენ მზად ვართ, ეს გავაძლიეროთ, იმიტომ, რომ კანონში წერია, დაუშვებელია დისკრიმინაცია, მაგრამ ზოგჯერ დასაშვებია უფლებების შეზღუდვა, თუ ეს ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ პრინციპებს, საზოგადოებრივ მორალსა და ზნეობას. აი, ამ ნაწილში ჩვენ შეგვიძლია გავაძლიეროთ, რომ აი, რასაც ჰქვია ბოროტად არავინ ისარგებლოს რაიმე უფლებით. რაც შეეხება თავად ჩამონათვალს, ამ თემაზე არის ძალიან პრინციპული პოზიცია, ეს ჩამონათვალი არის ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარი, იმიტომ, რომ დღეს რომ ასე მარტივად ვუდგებით საკითხებს, რომ წერია, რომ, მაგალითად, ეროვნული კუთვნილების მიხედვით დისკრიმინაცია დაუშვებელია და ამასთან არა გვაქვს პრობლემა. მაგრამ გადავხედოთ ისტორიას, არა იმდენად ჩვენს საკუთარს, არამედ მსოფლიო ისტორიას, სწორედ ეროვნული ნიშნით ადამიანები ადამიანებს ხოცავდნენ, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია რომ არ შეიძლება, ეს ხომ დღეს საყოველთაო ჭეშმარიტებად მიგვაჩნია. არ იყო ეს საყოველთაო ჭეშმარიტება და ამ ნიშნით მილიონობით ადამიანი სიცოცხლეს გამოესალმა. სქესის მიხედვით დისკრიმინაცია, დღეს ხომ არ ვდაობთ ამაზე, რომ ეს პრობლემურია, მაგრამ იყო ეს პრობლემური და ქალებს არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები და საარჩევნო უფლება უამრავ დემოკრატიულ ქვეყანაში. კანის ფერის მიხედვით და რასის მიხედვით დისკრიმინაცია არ შეიძლებაო, ახლა ხომ მარტივად ვამბობთ ამას და ამ ჩამონათვალში ამასთან პრობლემა არა გვაქვს, 50 წლის წინათ რა ხდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ის ადამიანები მაშინ, ვინც ამ ნიშნებით სხვების დისკრიმინაციას ეწეოდნენ, ასევე გულწრფელად იყვნენ რაღაცებით შეშფოთებული, რომ ის ადამიანები რაღაცა ცუდს გაუკეთებდნენ იმ ქვეყანას, თუ მორალსა თუ კულტურას და ასე შემდეგ... ამიტომ, ამ ჩამონათვალთან ასეთი დამოკიდებულება არ არის სწორი, ეს სწორედ ქრისტიანული მორალის, კულტურის, შემწყნარებლობის, სიყვარულის ჩამონათვალია და რა უნდა აიკრძალოს? უნდა აიკრძალოს ძალადობა და ძალადობის გამართლება ვინმეს მხრიდან რაიმე ნიშნით, ეს არის დაუშვებელი. ამიტომ, როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს სიტყვები იქნებ ამოვიღოთ, ეს არის ძალიან პრინციპული ამბავი. რას ნიშნავს დღეს ამოვიღოთ ეს სიტყვები?.. ესე იგი 2004 წელს მზად ვიყავით და 97 წელს და 2010 წელს და 2012 წელს, რომ ამ ნიშნით ადამიანები არ გვეცემა და ახლა გვეუბნებიან, ამოიღეთ იმიტომ, რომ გვინდა, ვიძალადოთო?!. რა თქმა უნდა, ამას არ დაუშვებს სახელმწიფო და არავითარ შემთხვევაში, ეს არის ძალიან პრინციპული საკითხი და ძალიან პრინციპული ამბავი. ამიტომ, ვისაც გულწრფელად აღელვებს, რომ რამე ნეგატიური შედეგი არ მოჰყვეს, მათთან ზეგაც გავაგრძელებთ საუბარს ამ კანონპროექტის აღსრულების დროსაც, მაგრამ ვისაც პოლიტიკური ნიშნით, კიდევ გეუბნებით, შეცდომაში შეჰყავს სხვები, ადამიანები, რომლებიც თავად ისხდნენ იმ პარლამენტში, როდესაც 2010 წელს შრომის კოდექსი კიდევ ერთხელ დამტკიცდა და ხმა არ ამოუღიათ ამ თემაზე, სტენოგრამები მაქვს აგერ და ადამიანები, რომლებსაც 2004 წელს და 2010 წელს და 2007 წელს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისთვის ხმა აქვთ მიცემული და „სექსუალური ორიენტაცია" ნახმარია, დღეს მიდიან და სწორედ რომ სჩადიან ცოდვას, ამბობენ ტყუილს და შეცდომაში შეჰყავთ ბევრი და სამწუხაროდ, სასულიერო პირებიც, რომ თითქოს, ჩვენ ვიგონებთ ახლა ამ ტერმინს და აი, ახლა ხდება რაიმეს ლეგალიზაცია და დამკვიდრება. ამიტომ არის ძალიან მკაფიოდ ეს საკითხი, ძალიან მნიშვნელოვნად ქვეყნისთვის და ნუ გაგვიბრაზდებიან (არაგულწრფელებს ვგულისხმობ მე), თუ მათ ჭეშმარიტ ზრახვებს ვამხელთ. დიახ, ეს ასეა. დღეს ამ თემებზე ასეთი საუბარი ეს არის რუსეთის საუბარი და ამ საკითხებზე არა ძალადობას და არა დისკრიმინაციას და მეტი თავისუფლება და მეტი ჰარმონია საზოგადოებაში, ეს არის ევროპული არჩევანი, ეს ასეა, ასე ძალიან მარტივად ჩანს ეს საკითხი. გუშინ ჩამოვედი მოლდოვიდან მე, ერთი წლის წინათ მათაც გაიარეს ეს საკითხები და ანალოგიური პროცესები იყო სწორედ დაკავშირებული იმ არჩევანთან, რასაც მოლდოვა მაშინ აკეთებდა ვიზა-ლიბერალიზაციის და ასე შემდეგ..."



„როცა ამბობს უსუფაშვილი, მაშინ ხმაური რატომ არ ატეხეთ, როცა მაუწყებლის კანონში გაჩნდა ჩანაწერი, რომ არ შეიძლება სექსუალური უმცირესობების შეურაცხმყოფელი გადაცემების მომზადებაო, ამაზე რა ხმაური უნდა აგვეტეხა, როცა უსუფაშვილი აცხადებს, ამ კანონს მაინც მივიღებთ, ამ კანონის ამოცანაა ის, რომ ძალადობა მიუღებელია, ერთი უსუფაშვილს ჰკითხეთ, ომში ძალადობა მისაღებია?.. ყველაფერს თავის წესები აქვს და თუ დაუშვებ, მისაღებია"

მაშ ასე, რატომ არ აპროტესტებდნენ დეპუტატები სექსუალური უმცირესობების შესახებ კანონში ჩანაწერებს, რა განსხვავებაა ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტსა და პარლამენტის მიერ გაკეთებულ ჩანაწერებში და ვინ უფრო მაგრად „გვაბოლებს"?!



„მაშინ იყო საუბარი სამედიცინო მომსახურებაზე, გაუგებარია, რატომ უნდა ეთქვას უარი სამედიცინო მომსახურებაზე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს და საერთოდ, ვინც არ უნდა იყოს, ის... ამ საკითხზე, ცხადია, ხმაური ვერ ატყდებოდა, ისინი არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები და ყველას აქვს უფლება მიიღოს სამედიცინო დახმარება. უბრალოდ, დღეს არსებობს იმის საფრთხე, რომ პროპაგანდის საშუალება რჩებათ „ელგებეტე" საზოგადოების წარმომადგენლებს და ეს არის სწორედ სერიოზული პრობლემა"

„ალია" დაუკავშირდა 1997 წლის პარლამენტის ყოფილ წევრს, „მწვანეთა პარტიის" ლიდერს **გია გაჩეჩილაძეს:**

**— ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს უჭერთ მხარს?**

– მე თავს ვიკავებ და კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებ, ვფიქრობ, რომ ამ კანონპროექტის შემოტანის ფორმა არის შეცდომა, ის ჩამონათვალი, რომელიც ამ კანონპროექტშია, არის გამაღიზიანებელი საქართველოს მოსახლეობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რაც ამ კანონპროექტში წერია, ეს ყველაფერი კონსტიტუციურად არის დაცული სისხლის სამართლის კოდექსში და ასევე შრომის კოდექსში და სულაც არ არის განცალკევებით ამ კანონპროექტის მიღება საჭირო. მე ვფიქრობ, რომ ეს არის არაპროფესიონალიზმის ბრალი, პარლამენტში რომ მსგავსი ტიპის კანონპროექტი შემოიტანეს და საზოგადოებას ძალიან აღიზიანებს. ჩემთვის გამაოგნებელია, როგორ შეიძლებოდა ასეთი სახით ამ კანონპროექტის შემოტანა, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

**— 1997 წელს თქვენ იყავით პარლამენტის წევრი და სწორედ მაშინ გაჩნდა პირველად ჩანაწერი, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს უნდა ჰქონოდათ სათანადო სამედიცინო მომსახურება და ამ ნიშნით პაციენტის დისკრიმინაცია იყო დაუშვებელი. რატომ მაშინ არ ატეხეთ ხმაური, რა საჭირო იყო ჩანაწერში სექსუალური უმცირესობის გამოცალკევება, მაშინ როცა მათ კონსტიტუცია ისედაც იცავდა?**

– მაშინ იყო საუბარი სამედიცინო მომსახურებაზე, გაუგებარია, რატომ უნდა ეთქვას უარი სამედიცინო მომსახურებაზე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს და საერთოდ, ვინც არ უნდა იყოს, ის... ამ საკითხზე, ცხადია, ხმაური ვერ ატყდებოდა, ისინი არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები და ყველას აქვს უფლება, მიიღოს სამედიცინო დახმარება. უბრალოდ, დღეს არსებობს იმის საფრთხე, რომ პროპაგანდის საშუალება რჩებათ „ელგებეტე" საზოგადოების წარმომადგენლებს და ეს არის სწორედ სერიოზული პრობლემა.

**— ვიზა ლიბერალიზაციის შემთხვევაში საქართველოდან ევროკავშირში არალეგალების დიდ ნაკადს ელოდებიან, ევროპაში „ელგებეტე" საზოგადოების წევრებს დევნილის სტატუსს მარტივად ანიჭებენ და ხშირია შემთხვევა, როცა საქართველოს მოქალაქე იტყუება, რომ ის სექსუალური უმცირესობის წევრია და მას საქართველოში დევნიან. ხომ არ არის ევროკავშირის მოთხოვნა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რათა არ მოხდეს საქართველოდან მოსახლეობის გადინება**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...



## „ბათუმი თაუერის" თვითღირებულებით რეალიზაცია ვერ ხერხდება

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, „ბათუმი თაუერით" დასაინტერესებლად სხვადასხვა ქვეყნებში მოლაპარაკებები ნაკლებად ცნობილ კომპანიასთან მიმდინარეობს

„სამწუხაროდ, ამ შენობის თვითღირებულება ძალიან მაღალია და თვითღირებულებით მისი რეალიზაცია ვერ ხერხდება, ამიტომ სხვა ვარიანტებს ვიხილავთ, მათ შორის – გრძელვადიან იჯარას. ასევე შესაძლებელი იქნება კომერციულ და კერძო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის ფორმატში გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება იმისთვის, რომ ეს შენობა სასტუმროსთვის იქნას გამოყენებული", – განაცხადა კვირიკაშვილმა. (ფრონტნიუსი)

## პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო



პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი, გარკვეული ცვლილებებით, მეორე მოსმენით დაამტკიცა. კანონპროექტს 112 მომხრე ჰყავდა და არც ერთი წინააღმდეგი, თუმცა დოკუმენტი დაპირისპირების მიზეზი ამჯერად უკვე დეპუტატებს შორის გახდა. კენჭისყრამდე ცნობილი გახდა, რომ დოკუმენტში ახალი განმარტება გაჩნდა, რომელმაც ანტიდისკრიმინაციული კანონის შინაარსი რადიკალურად შეცვალა და დისკრიმინაციის გარკვეული ფორმებიც დასაშვებად ცნო. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საქართველოს აგროსექტორით გერმანული კომპანიები დაინტერესდნენ



ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური მინისტრის საპარლამენტო სახელმწიფო მდივანი ჰანს იოაჰიმ ფუხტელი მიიღო, რომელიც საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრაზე განხილული იყო საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის, ის პროექტები, რომელთაც საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი ახორციელებენ.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, გერმანული კომპანიები დაინტერესებულნი არიან საქართველოს ეკონომიკით, განსაკუთრებით კი ადგილობრივი აგროსექტორით. აღინიშნა, რომ მხარეები გააააქტიურებენ თანამშრომლობას საქართველოში გერმანული ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვის მიმართულებით. ამ პროცესში ქართულ მხარეს პარტნიორობას გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი გაუწევს. (კვირა)

**და თავშესაფრის მოთხოვნა? ამ კანონის მიღების შემთხვევაში კი ევროკავშირი საქართველოდან დევნილის სტატუსს აღარავის მიანიჭებს...**

– კონსტიტუციურად განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო ყველა ჯგუფს იცავს, არ მგონია, რომ აუცილებელი იყოს ამ მოტივით ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, მე მაინც ვთვლი, რომ ეს არის შეცდომა, რამაც საზოგადოების მღელვარება გამოიწვია. ნამდვილად არ ვიცი, ამ შეცდომის უკან რა დგას. მოგეხსენებათ, წინასაარჩევნო პერიოდია და არ მესმის წინასაარჩევნო პერიოდში გამოიწვიო ხელოვნურად, ეს რას უნდა დავაბრალოთ, სიბრიყვეს თუ არაპროფესიონალიზმს?

**— რატომ გაჩნდა აუცილებელი მოთხოვნა, რომ მსგავსი ჩანაწერი გაჩენილიყო ანტიდისკრიმინაციულ კანონში, რას საუბრობენ პარლამენტის კულუარებში?**

– ეს როგორც ჩანს, დაკავშირებულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასთან, რომელიც უნდა მოხდეს ივნისის ბოლოს. პრობლემაც სწორედ ისაა, რომ გადაჭარბებული თავის დაზღვევა საჭირო ნამდვილად არ იყო. თქვენ კარგად იცით, ევროკავშირს სხვადასხვა ქვეყნებთან სხვადასხვა მიდგომა აქვს. მაგალითად, საბერძნეთი, რომელიც ევროკავშირის წევრია, მსგავსი კანონი არა აქვს. საქმე ისაა, რომ ხელისუფლება საკუთარ საზოგადოებას უნდა უგდებდეს ყურს და არა დასავლეთს და არ არის საჭირო ხალხის ასეთი გაღიზიანება. ასე რომ, ამ კანონს მე მხარს არ დავუჭერ.

2004 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი ვალერი გელბახიანი „ალიასთან“ საუბარში იხსენებს, რომ იმ წლებში დისკრიმინაციულ რეგულაციებთან არანაირი შეხება არ ყოფილა. საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები როცა შედიოდა, იქ ხდებოდა რეგულაციები. კონკრეტული კანონი სექსუალური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით არ მიღებულა.

**— უსუფაშვილი აცხადებს, რომ 2004 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ კანონში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა ისეთი გადაცემების მომზადება, რომელიც სექსუალური უმცირესობების მქონე ადამიანებს შეურაცხყოფას მიაყენებდა.**

– არა, გენაცვალე, აქ სხვა კონტექსტზეა ლაპარაკი, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი მიღებულია 2007 წელს, 2004 წელს გენდერული თანასწორობა ცნებაც კი არ იყო, მით უფრო, ჰომოსექსუალიზმზე ხომ ხმას ვერავინ ამოიღებდა, ჩაქოლავდნენ მაშინვე. იქ ლაპარაკი იყო საარჩევნო კანონზე, თუ რას არ უნდა უწევდნენ პროპაგანდას პარტიები, თუ რა სლოგანი არ უნდა გამოეყენებინათ პარტიებს, რა სახელი არ უნდა დაერქმიათ, ეს სხვა რეგულაციაა. ამას ჰქვია, საარჩევნო დროებითი რეგულაციები იმ პარტიებისთვის, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდნენ. იქ იყო საუბარი, რომ კონკურენციამ არ უნდა გადააჭარბოს ოპონირებას. 1995 წლის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ არ შეიძლება ადამიანების დისკრიმინაცია რელიგიის, შეხედულებების, პოლიტიკური მსოფლმხედველობის გამო. ასე რომ, ასეთი ტიპის ჩანაწერები ჯერ კიდევ 1995 წელს გაჩნდა კონსტიტუციაში, დღეს ჩვენ კონტექსტი გვაინტერესებს. როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ, თუ მამათმავალია ადამიანი და მას უპირატესობას ანიჭებ, ამ შემთხვევაში ეს არ ითვლება დისკრიმინაციად. ვკითხულობ, რატომ არ ითვლება ეს დისკრიმინაციად, რატომ უწესებ პრივილეგიას, ჩემზე უკეთესი რითია?.. რატომ უნდა ჰქონდეს ასეთ ადამიანს უპირატესობა? უსუფაშვილი იტყუება, კანონის სახით ეს ჩანაწერი არ გაკეთებულა, მეტსაც გეტყვით, სააკაშვილი ხელებს ასავსავებდა და ამბობდა, რომ ეს თემა წინ არ წამოწეულიყო და ამას კანონის სახე არ მისცემოდა. სააკაშვილს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ასეთი თემები წინა პლანზე არ წამოეწია, რომ ეს იწვევდა საზოგადოების გაღიზიანებას. ევროპელებს პირდაპირ ეუბნებოდა, – დამანებეთ თავი, არ მაიძულოთ, ამ საკითხზე კონკრეტული რეგულაციები მივიღოო. როცა ამბობს უსუფაშვილი, მაშინ ხმაური რატომ არ ატეხეთ, როცა მაუწყებლის კანონში გაჩნდა ჩანაწერი, რომ არ შეიძლება სექსუალური უმცირესობების შეურაცხმყოფელი გადაცემების მომზადებაო, ამაზე რა ხმაური უნდა აგვეტეხა, როცა უსუფაშვილი აცხადებს, ამ კანონს მაინც მივიღებთ, ამ კანონის ამოცანაა ის, რომ ძალადობა მიუღებელია, ერთი უსუფაშვილს ჰკითხეთ, ომში ძალადობა მისაღებია?.. ყველაფერს თავის წესები აქვს და თუ დაუშვებ, მისაღებია.



„ამ ჩანაწერის საფუძველზე დღეს „ლგბტ“ საზოგადოება უჩივის სიონის მღვდელს დავით მასულაშვილს. აღდგომის წინა დღეს, მამა დავითი იყო „საზოგადოებრივ არხზე“ მიწვეული და მან იქადაგა სოდომის ცოდვის სიმძიმეზე. ახლა საჩივარია შესული „ლგბტ“ საზოგადოების მხრიდან „საზოგადოებრივი არხის“ წინააღმდეგ, რომ თურმე მღვდელს არ ჰქონდა უფლება, „საზოგადოებრივი არხით“ ზნეობაზე ექადაგა“



„სააკაშვილი ხელებს ასავსავებდა და ამბობდა, რომ ეს თემა წინ არ წამოწეულიყო და ამას კანონის სახე არ მისცემოდა. სააკაშვილს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ასეთი თემები წინა პლანზე არ წამოეწია, რომ ეს იწვევდა საზოგადოების გაღიზიანებას. ევროპელებს პირდაპირ ეუბნებოდა, – დამანებეთ თავი, არ მაიძულოთ ამ საკითხზე კონკრეტული რეგულაციები მივიღოო“

„ალია“ დაუკავშირდა „ქართული დასის“ ლიდერს, **ჯონდი ბაღათურიას** და აი, რას აცხადებს ის:

– 2004 წელს უსუფაშვილი თავად იყო „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი ლიდერი და დამფუძნებელი. სწორედ მაშინ შევიდა მაუწყებლის შესახებ კანონში ცვლილება, რომ არ შეიძლება მოუწოდებდე აგრესიისკენ, მე თუ მკითხავთ, ეს არის ცოტა გადაჭარბებული ტექსტი და ზედმეტებიც არის მაუწყებლის კანონში ჩაწერილი, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა, თუმცა ამ ჩანაწერმა ნეგატიური შედეგები გამოიღო. როცა დავით უსუფაშვილი თავის „რესპუბლიკური პარტიით“ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ პარტიის აპოლოგეტი იყო, ეს ჩანაწერი მაშინ გაკეთდა და ამ ჩანაწერის საფუძველზე დღეს „ლგბტ“ საზოგადოება უჩივის სიონის მღვდელს დავით მასულაშვილს. აღდგომის წინა დღეს, მამა დავითი იყო „საზოგადოებრივ არხზე“ მიწვეული და მან იქადაგა სოდომის ცოდვის სიმძიმეზე. ახლა საჩივარია შესული „ლგბტ“ საზოგადოების მხრიდან „საზოგადოებრივი არხის“ წინააღმდეგ, რომ თურმე მღვდელს არ ჰქონდა უფლება, „საზოგადოებრივი არხით“ ზნეობაზე ექადაგა. ასე რომ, თუკი ანტიდისკრიმინაციულ კანონს მიიღებენ, „ლგბტ“ საზოგადოება აღმოჩნდება პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყველა სფეროში, როგორც მედიაში, ასევე განათლების, თავდაცვის, პენიტენციალურ სისტემაში და ასე შემდეგ... 2003 წლიდან 2012 წლამდე, ძალიან ბევრი ბოროტი კანონი და ბოროტი ჩანაწერი გაკეთდა. ზოგიერთი ჩანაწერის შესახებ იყო ხმაური, რადგან ჟონავდა ინფორმაცია, მაგრამ გააპარეს ბევრი ისეთი ჩანაწერი, რის შესახებაც არ საჯაროვდებოდა. შესაბამისად, არ იყო წინააღმდეგობაც. ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი პირდაპირ ამბობს, რომ ჰომოსექსუალიზმი ამ კანონის მიხედვით არის ნორმა და ეს უნდა იყოს ნორმად აღიარებული, შემდგომში კანონპროექტი ამბობს, რომ „ლგბტ“ საზოგადოების წარმომადგენლები უნდა იყვნენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მათთვის თითის აწევაც კი არ შეიძლება, მათ გზა ხსნილი აქვთ ნებისმიერ სფეროში და შემდეგ მოდის სფეროთა ჩამონათვალი. მაგალითად, კანონპროექტში წერია, რომ ბაღის მასწავლებელი შეიძლება იყოს მამათმავალი და ეს უნდა იყოს ნორმა.

**— ეკა ბესელია აცხადებს, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონიდან მე-3 მუხლის ჩამონათვალს ამოიღებენ, სადაც კონკრეტული სფეროების ჩამონათვალია: სკოლა, საგანმანათლებლო სივრცე, საჯარო თუ სხვა დაწესებულებები, სადაც „ლგბტ“ საზოგადოების წარმომადგენლები ისარგებლებენ უპირატესობით.**

– ეს არის სიცრუე, ჩვენ პირველივე დღეს შემოგვთავაზეს, რომ ამ მუხლს საერთოდ ამოვიღებთო, ეს არის თვალთმაქცობა. სფეროების ჩამონათვალი კანონში არ არსებობს, მასში ეხება ყველაფერს, ამიტომ, ამ მუხლის ამოღება სფეროთა რეგულაციის ჩამონათვალის გაუქმება უარესია, ეს ნიშნავს, რომ პრივილეგია „ლგბტ“ საზოგადოებისა ეხება აბსოლუტურად ყველა სფეროს. ამით ცდილობენ ხალხის მოტყუებას, მაგრამ ღმერთს ხომ ვერ მოატყუებენ?.. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, თუ „ლგბტ“ საზოგადოება ჩაატარებს აქციას, უმრავლესობას არა აქვს პარალელური აქციის ჩატარების უფლება, შესაბამისად, უმრავლესობა აღმოჩნდება სრულიად დაუცველ მდგომარეობაში. თუ ამ კანონს მიიღებს პარლამენტი, „ლგბტ“ საზოგადოების წევრი მოგიბრუნდება და გეტყვის, თუ ეს ნორმაა, რატომ არ მაქვს უფლება, ვიქორწინო ჩემი სქესის წარმომადგენელზე, ვიყოლიო შვილი, ვიყო მასწავლებელი, ვიმუშაო პენიტენციარულ სისტემაში, თავდაცვაში და ნებისმიერ სხვა სფეროში?. და თუ ამას უმრავლესობის წევრი გააპროტესტებს, მას სასჯელი დაემუქრება. თუ ბაღის დირექტორი გააპროტესტებს „ლგბტ“ საზოგადოების წარმომადგენლის მასწავლებლად მიღებას, მაშინ ამ ბაღს დახურვა დაემუქრება. ამ კანონის მიხედვით უმრავლესობა აღმოჩნდება სრულიად დაუცველი.

**მაინც, რა საჭიროა ამ კანონის მიღება, როცა კონსტიტუციით ნებისმიერი ადამიანის უფლებები ისედაც დაცულია, მისი სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად? როცა ევროკავშირმა ღიად გვითხრა, რომ „ელგებეტე“ პირებზე კანონის მიღებას არ მოითხოვდნენ? როცა ეს კანონპროექტი საზოგადოების უმრავლესობის უკიდურეს აღშფოთებას იწვევს?**

**ეს კითხვები გვინდოდა ამ კანონპროექტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დამცველის, ლევან ბერძენიშვილისთვის დაგვესვა, მაგრამ მან გვითხრა, სხდომაზე ვარ და კომენტარს ვერ გავაკეთებო...**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო



„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტს „საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის“ პუნქტი ემატება.

კანონპროექტის ეს ნაწილი ამბობს, რომ საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. პირდაპირ დისკრიმინაციად კი მიჩნეულია ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, რომელიმე ნიშნის გამო, პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლის ბოლო ნაწილში ხდება ჩამატება ფრაზის – „საზოგადოებრივი ზნეობის დაცვა, როცა ქმედებას გააჩნია გონივრული და ობიექტური გამართლება“.

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა შალვა თადუმაძემ განმარტა, აღნიშნულ ცნებას „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ იცნობს და საზოგადოებრივი ზნეობის დარღვევის ქმედება ადმინისტრაციულ სახდელს ექვემდებარება. „ამით არანაირად არ ხდება ახალი ცნების შემოღება“, – აღნიშნა თადუმაძემ.

პროექტიდან ამოიღეს შევიწროებასთან დაკავშირებული პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს იმ პირთა შევიწროება, რომელთა მიმართ არსებობს მტრული, დამამცირებელი, დამაშინებელი, ღირსების შემლახავი ან სხვა სახის შეურაცხმყოფელი გარემო.

როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განმარტა, საკომიტეტო სხდომაზე გამოითქვა შენიშვნა, რომ აღნიშნული პუნქტი არის მეტისმეტად ბუნდოვანი და იძლევა სხვადასხვა ტიპის ინტერპრეტირების საშუალებას, ამიტომ, გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიცვალოს აღნიშნული პუნქტის ფორმულირება ან ამოღებული იყოს კანონპროექტიდან.

პარლამენტმა კანონი, გარკვეული ცვლილებებით, მეორე მოსმენით დაამტკიცა. კანონპროექტს 112 მომხრე ჰყავდა და არც ერთი წინააღმდეგი. (ინტერპრესნიუსი)



1. საბალეტო დასი სცენაზე
2. მახრჩობელა გველი ამაზონში
3. ბოჭკოვანი მცენარე
4. პატარა სადაზვერვო რაზმი
5. ინდური კაბა
6. თმის წითელი საღებავი
7. პური ყველის გულით
8. ერთ-ერთი მუშკეტერი
9. სომხური გვარის ნაწილაკი
10. მეჭეჭების მოსაშორებელი სითხე
11. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
12. ხის ჯიში
13. მომღერალი ... ლავინი
14. მ/ფ „... გოლუა"
15. ქალაქი ესტონეთში
16. ბოკაჩოს ნაწარმოები
17. მოსაწევად დახვეული თამბაქო
18. კატის ნაშიერი
19. „რომეო და ჯულიეტა" პერსონაჟი
20. მწერალი ვიტალი ...
21. სამკურნალო მცენარე
22. სასტრადო ჩასაბერი საკრავი
23. პირველი კოსმონავტი
24. მომღერალი ... გეგელია
25. გერმანული ავტომობილი
26. სამშენებლო ქვა
27. ფოუტი, დაუმორჩილებელი
28. მწერალი პროსპერ ...
29. მოგზაური ... პოლო
30. მომღერალი ლეონიდ ...
31. ბრიტანული ავტომობილი
32. კალათბურთელი ანატოლი ...
33. მოწყენილობა
34. მწერალი ერიხ მარია ...
35. დარიცხება ლოცვისას
36. ხილის ნაჭუჭიანი გული
37. დიდი ციგა
38. მომღერალი ... ვაიკულე
39. ღირებულება
40. ძღვ. ხვალის შემდეგ
41. საომარი ნადავლი
41ა. ... ყირარდო
42. მდინარე თბილისში
43. მდინარე დარიალის ხეობაში
44. პავა
45. მ/ფ „ქალაქი ..."
46. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
47. მსახიობი ანა ...
48. სოფელი სიღნაღის რაიონში
49. დავით ულუ და დავით ...
50. მდინარე იტალიაში
51. სოფელი გურჯაანის რაიონში
52. ბაღჩეული
53. მსახიობი ... დერეკი
54. ზამთრის ხილი
55. დაბა ქვემო სვანეთის მხარეში
56. ქართული ფულის ერთეული
57. სასწორის ჯამი
58. ავტობუსის წინამორბედი
59. არანამდვილი, მოჩვენებითი
60. მსახიობი ... როკი
61. ცეცხლის ენა
62. კუბური ცეკვა
63. მ/ფ „წელიწადის ხაშის ..."
64. საქონლის საკვები
65. მსახიობი ჟერარ ...
65ა. მსახიობი ... ელიავა
66. მეცნიერება ადამიანის შესახებ
67. გრამატიკაში: ახლანდელი დრო
68. „თემური და მისი ..."
69. ფაშვის წვნიანი
70. ინგლისური ლუდი
71. ტუბეტური ხარი
72. მდინარე ინდოეთში
73. პატარა სასაცილო ამბავი
74. მუსიკოსი ... გილელსი
75. არასასიამოვნო ამბავი, სიტუაცია
76. ხარებთან ბრძოლა
77. ლონდონის ცენტრი
78. რუსი მხატვარი
79. სახელმწიფო აფრიკაში
80. მზის ამოსვლა
81. ყურძნის ჯიში
82. ჟურნალისტი ... უინფრი
83. კეთილი მოქცევა
84. კეთრი
85. არქივის თანამშრომელი ძველად
86. ერთფეროვანი ორგანიზმი
87. რადიოლოკატორი
88. მსახიობი მონიკა ...
89. ყველაზე ლამაზი ტბა
90. მოქეიფე, უდარდელი
91. წინაღობის ერთეული
92. სახორცე ქათმის ჯიში
93. ვერცხლისწყლის ნაერთი ლითონთან
94. იაპონური თაიგული
95. ცხარე სანებელი
96. ლორის ნაშიერი
97. ძველი ეგვიპტის ღვთაება
98. ... პუგაჩოვა
99. ძილის ღმერთი
100. ძაღლის ჯიში
101. მსახიობი ... მერფი
102. კუდიანი ვარსკვლავი
103. მწერალი ... ლომოური
104. მუსიკალური ბალახი
105. ილია ჭავჭავაძის პოემა
106. ქვანახშირის ხარისხი
107. მომღერალი ... ბადურაშვილი
108. ტყის სულიერი ნეკნიანი ყურებით
109. ყელსაბამი
110. ვერტიკალური მანქანების სიძლიერა
111. მწვანილი
112. ფიზიოლოგი ლუიჯი ...
113. ფეხბურთის „მერე"
114. რუსი ფილოლოგი
115. რეჟისორი ... სკოლა
116. სიმინდის ფქვილის კვერი
117. თანავარსკვლავედი
118. მისი დედოფალი ლონდონი
119. ქალაქი საფრანგეთში
120. ბრიტანელი მომღერალი
121. აეროპორტი პარიზში
122. იანის საპირისპირო
123. პოეტი ... ლესპენელი
124. რეჟისორი ... ლოლობრიჯიდა
125. გასაშლელი ოთახი
126. დაისმის წყლისართავი სახლს
127. დანა, ჩანგალი ...
128. მისი დედაქალაქი დამასკო
129. მსახიობი ... ნილტი
130. მწერალი ... მორუა
131. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
132. ნიშნავს პოპულარულს
133. განასტერი ... ლუჩინი
134. გერმანული ხმალი
135. მსახიობი ... ჩურიკოვა
136. ბუნების ამსახველი ნახატი
137. ლანგარი
138. სამი-ხედრო ფორმის ქურ-თუკი
139. მომღერალი ... ხელენ
140. შეშის საპალიე ქსოვილი
141. მსახიობი ვივიენ ...
142. ხის დიდი ჯიში
143. კონკისტადორი ფრანსისკო ...
144. ანწლი
145. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
146. გამის ნოტი
147. სინათლის სიკაშკაშის ერთეული

## რა აერთიანებს პლანეტის ყველა ადამიანს?



1. პუნქტი, რომელიც, თუ ვინმე არ გაგვიბრაზდება, აბსოლუტურად ყველა ადამიანს აერთიანებს მთელი დედამიწის ზურგზე. ეს არის – ტყუილი. ნებისმიერ ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც, თუნდაც არასერიოზულად, მაგრამ ტყუილი მაინც ექნება ნათქვამი. ჰო, თუ ვინმე გარწმუნებთ, რომ არასოდეს, ერთხელაც კი არ უთქვამს ტყუილი, იცოდეთ, რომ ის ტყუილს თქვენს წინაშე ამბობს.

2. „საპატიო“ მეორე ადგილი უკავია... მასტურბაციას. 20 წლამდე ასაკის ნებისმიერ ადამიანს ერთხელ მაინც წასცდენია ხელია. ნებისმიერი, ვინც იტყვის, რომ ეს ასე არ არის, ავტომატურად მოხვდება ჩვენი აღლუმის სათავეში.

3. „ბრინჯაო“ წილად ხვდა ფანტაზიებს. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ კვლავაც 20 წლამდე ასაკის ნებისმიერ ადამიანს ერთხელ მაინც გაუვლია აზრად, როგორი იქნებოდა სექსი საკუთარივე სქესის წარმომადგენელთან.

4. ეს პოზიცია ფრჩხილებს ხვდა წილად. სტატისტიკა მეტყველებს, რომ 10 წლამდე ასაკის ნებისმიერი ადამიანი ერთხელ მაინც, მაგრამ ფრჩხილებს იკვნეტდა.

5. ძალიან მავნე ჩვევა – მოწევა. აქაც სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ 21-ე საუკუნეში ნებისმიერ ადამიანს ერთხელ მაინც აქვს სიგარეტი გასინჯული.



6. გინებაც ერთ-ერთი მოვლენაა, რომელიც მთელ პლანეტას აერთიანებს. უცნაური სტატისტიკის მოყვარულები ამტკიცებენ, რომ სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ყველაზე მინიმუმ 200 უზრდელურ სიტყვას ამბობს, ზოგიერთები კი ამდენჯერ ერთ დღეში იგინებიან... იცნობთ თქვენც ასეთებს, არა?

7. მეშვიდე ადგილზეა – საღეჭი რეზინი. კევი უკვე 142 წელია, რაც ადამიანების გვერდითაა. თურმე, დღეში ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 100 ტონა კევი იღეჭება. თითოეულ ადამიანს 15 წლის შემდეგ ერთხელ მაინც აქვს საღეჭი რეზინის სიტკბო ნაგრძნობი. სხვათა შორის, ჩვენი პლანეტის დიდი ქალაქების მიწაზე მინიმუმ 50 ათასი საღეჭი რეზინია დაკრული.

8. სტატისტიკის თანახმად, მე-19 საუკუნის შემდეგ, ფაქტობრივად, ყველა ადამიანს თავის სიცოცხლეში ერთი ჭიქა ჩაი მაინც აქვს დალეული.

9. ის, რაც პლანეტის ყველა მოსახლეს აერთიანებს და მეცხრე ადგილს იკავებს, ცეკვაა. ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც ყველაზე მოუქნელი, ერთხელ მაინც აჰყოლია ცეკვის მაგიას.



10. მართალია, გვეგონა, ფული უფრო ზედა საფეხურებზე შეგვხვდებოდა, მაგრამ ის მხოლოდ მე-10 ადგილს დასჯერდა. მოცემული მომენტისთვის, როგორც ამაზე მსოფლიო სტატისტიკა მეტყველებს, პრაქტიკულად, პლანეტის მოსახლეობის 100 პროცენტს ფული აუცილებლად აქვს. რა მნიშვნელობა აქვს, 1 მილიონი თუ 1 თეთრი? პრინციპში, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში თანხის მოცულობა არ არის მთავარი.

***cetki.com***

## კიბოს საწინააღმდეგო და გამაახალგაზრდავებელი... ძეხვი



ხანდახან ისე აეწყობა ხოლმე, კვირის მანძილზე შეიძლება ერთმა ადამიანმა 2 კილომეტრი ძეხვი მიირთვას... აბა, მოსაბეზრებელია სულ ხაჭაპური და ლობიანი ჭამოს კაცმა და მიასკდება ხოლმე ბევრი ამ გემრიელ, თუმცა საკმაოდ საშიშ პროდუქტს.

დიახ, ძეხვი მართლაც საშიში და მავნებელი ნაწარმია და ეს ყველამ კარგად იცის, თუმცა უმრავლესობა მის დაგემოვნებაზე უარს მაინც არ ამბობს. ხომ გითხარით, სულ ხაჭაპური და ლობიანი მოსაბეზრებელია-მეთქი, ვააჰ!..

ალბათ, ბევრს ძალიან გაუხარდება, რადგან, როგორც გავიგეთ, ბულგარელმა მეცნიერებმა საშიში და მავნებელი კი არა, ჰაერივით საჭირო ძეხვის სახეობა შექმნეს, რომელიც... კიბოსთან ბრძოლას ახერხებს. სიახლის ავტორები განმარტავენ, რომ მათ პროდუქტში ლიკოპინი შედის, ნივთიერება, რომელიც ამცირებს ონკოლოგიის რისკს და ასევე, კანის დაბერების პროცესსაც აფერხებს.

შეგახსენებთ, რომ ლიკოპინს დიდი რაოდენობით შეიცავს პომიდორი, რის გამოც ის წითელი ფერისაა.

საინტერესოა, რომ წარმოებაში ახალი ტექნოლოგიის დანერგვა ფაქტობრივად, არავითარ დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს. კერძოდ, ძეხვში ტომატ პასტების დამზადების შედეგად დარჩენილ პომიდვრის კანს დაუმატებენ, ეს არის და ეს.

იმედია, „სასწაულმოქმედი ძეხვის“ წარმოება ბულგარეთში ისეთ მასშტაბებს მიიღებს, რომ მის ექსპორტზეც იზრუნებენ – აბა, მხოლოდ ბულგარელებს ხომ არ უნდათ ჯანმრთელები და ლამაზები იყვნენ?

***myjane.ru***

## რითია სასარგებლო... ღიპი?



უი, ეს რა მაგარი ამბავი გავიგეთ – ღიპი სასარგებლო ყოფილა და აბა, რაღა გვაქვს სანერვიულო, ღიპუცებო?

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მუცელზე გაჩენილი ცხიმის ფენები, რომელიც ყველას უშლის ნერვებს, სინამდვილეში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს „მარაგები“ თურმე, იმუნურ სისტემას არეგულირებს.

ჩიკაგოელი სპეციალისტების თქმით, ცხიმი ადამიანის ორგანიზმს ვირუსებისა და ინფექციების შეტევებისგან იცავს. ასევე, ის ხელს უწყობს, დაზიანებული ქსოვილების უფრო სწრაფად შეხორცებას.

საიდან აქვს ღიპს ასეთი შესაძლებლობები?

აღმოჩნდა, რომ უჯრედებს, რომლებიც ცხიმოვან ფენებს ქმნიან, შეუძლიათ, ძვლებისა და ფილტვების უჯრედებად გადაიქცნენ. შესაბამისად, ღიპუცა ადამიანები გაცილებით სწრაფად ჯანმრთელდებიან სერიოზული ტრავმების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ ამ მიგნების საფუძველზე ამერიკელი მეცნიერები ახალი პრეპარატების შექმნას აპირებენ, რომელიც ორგანოების გადანერგვის ოპერაციის შემდეგ, ადამიანებს უდიდეს დახმარებას გაუწევს.

***medkarta.com***

## პერლ-ჰარბორზე თავდასხმას ხელი ბრიტანელებმა შეუწყვეს?



ამ ცოტა ხნის წინ დიდ ბრიტანეთში საიდუმლო გრიფი მოხსნეს დოკუმენტს, რომელმაც სკანდალურ ფაქტს მოჰფინა ნათელი.

დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს პერლ-ჰარბორსა და სინგაპურზე იაპონიის წარმატებულ თავდასხმას გარკვეული დახმარება აღმოუჩინა ინფორმაციამ, რომელიც იაპონელებს უინსტონ ჩერჩილის უახლოესმა გარემოცვამ მიაწოდა.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ერთ-ერთი ჯაშუში ლორდთა პალატის წევრი იყო, რომელიც პრემიერ-მინისტრთან დაახლოებულ ჯგუფში შედიოდა.

გასაგები მიზეზების გამო, ზუსტი გვარ-სახელი მაინც საიდუმლოდ რჩება, თუმცა ის კი დაიწერა, რომ უმაღლესი თანამდებობების მქონე ბრიტანელები მნიშვნელოვან ინფორმაციას იაპონელებს ათწლეულების მანძილზე აწვდიდნენ.

***bbc.co.uk***

## ჭამის შემდეგ კბილები არ გაიხეხოთ!



ამერიკელი ექიმები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ძალიან ბევრი ადამიანის ჩვევას, რომელიც ჭამის შემდეგ კბილების გამოხეხვას გულისხმობს. მათი აზრი ასეთია: კბილის ჯაგრისის გამოყენება დასაშვებია საკვების მიღებიდან მინიმუმ ნახევარი საათის გასვლის შემდეგ.

სპეციალისტების განმარტებით, მჟავები, რომელიც საკვების მიღების დროს წარმოიქმნება, ადგილს იკავებს ემალში და ფენაში, რომელიც ემალს მოსდევს. კბილების გახეხვას უდროო დროს (იგულისხმება ჭამის შემდგომი პერიოდი) შესაძლოა, მავნე მჟავების ემალის შიდა ნაწილში გადასროლა მოჰყვეს. შედეგი ასეთი იქნება – კბილები, უბრალოდ, დაიშლება.

***myjane.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ცირკი. კონფერანსიე:

– ახლა კი ჩვენი გაწვრთნილი სპილო გამოვა და მე-13 რიგს მიაფსამს!.. ბატონებო! ბატონებო! ნუ დგებით! სპილომ თვლა კარგად იცის!!!

*****

გასაუბრებაზე ფირმის დირექტორი მომავალ მდივანს ეკითხება:

– იაპონურ ენას ფლობთ?

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს ხომ ჩემს რეზიუმეშიც მიწერია.

– ?!

– მკერდის ზომის შემდგომ გრაფაში.

– ააა... ჰო, მეტი აღარ წამიკითხავს და...

*****

თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა, არადა, პარაშუტი მხოლოდ ორი ცალია, ადამიანი კი – 3. დაიწყეს ბჭობა, ვის შეხვდებოდა პარაშუტი.

პირველმა ტირილი დაიწყო:

– ცოლი მყავს, შვილები, მათ ხომ გამოკვება სჭირდებათ?!

გადაწყდა, ერთი პარაშუტი მისთვის მიეცათ. ამის შემდეგ მეორე მამაკაცი მესამეს ეუბნება:

– აიღე ეს პარაშუტი და გადახტი.

– კი, მაგრამ შენ?

– მეც მაქვს, ნუ დარდობ.

– და აბა, პირველი რით გადახტა?

– იმას კარტოფილით სავსე ტომარა მივეცი – წავიდეს და კვებოს ცოლშვილი!..

*****

– რა პარამეტრებით ირჩევენ ქალები შამპუნს?

– მარკა, სუნი, შემადგენლობა, ფერი, ხარისხი, შეფუთვის დიზაინი, რეკომენდაციები, რეკლამა, ცნობადობა.

– და მამაკაცები?

– უბრალოდ, ეტიკეტზე უნდა ეწეროს: „შამპუნი“.

*****

– სასწრაფოა?

– დიახ.

– რაბინოვიჩი ვარ. გადმომირეკეთ რა, მობილურით გირეკავთ...

*****



ცოლი ქმარს:

– გამარჯობა, ჩემო ფისუნი!

– ძალიან ნაზად მექცევი და ვღიზიანდები!

– ზდაროვა, ახვარო!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

ვახტანგ ბედია, ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყება უსაყვარლესი ბიძის

**გელა ასათიანის**

გარდაცვალებას.

**დაკრძალვა:** 4 მაისს, 14 საათზე;

**მისამართი:** მელიქიშვილის ქ. №6.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## ამერიკელი მეცნიერები „ჩუმ“ ასფალტს ქმნიან



თანამედროვე ქალაქების ერთ-ერთი ძალიან დიდი და გამორჩეული პრობლემაა – ხმაური. რა თქმა უნდა, უმთავრესი წვლილი ამაში ტრანსპორტს ეკუთვნის. ხმაურს გამოსცემს როგორც ავტომობილი, ისე მისი საბურავის კონტაქტი გზის საფართან.

„ჩუმი“ ასფალტის შექმნის სურვილი თანამედროვე კაცობრიობას უკვე დიდი ხანია, აქვს, თუმცა ეს არცთუ ადვილი მისაღწევია.

ევროპაში უკვე კარგა ხანია, სპეციალურ ხმის ჩამხშობ საფარს იყენებენ. მას გლუვი ზედაპირი აქვს, თუმცა ფოროვანი სტრუქტურა. ხახუნის შედეგად წარმოქმნილი ხმოვანი ტალღების ჩახშობა სწორედ ამ ფორების წყალობით ხდება. ერთი კია, საფარს თავის მინუსი აქვს – ფორები ძალიან მალე ივსება მტვრით და სასურველ შედეგს ველარ იძლევა.

ამერიკელები სხვა გზით წავიდნენ – ისინი აპირებენ ისეთი მასალის გამოყენებას, რომელშიც კაუჩუკის მსგავსი კომპონენტები იქნება დამატებული. ექსპერიმენტისთვის უკვე დაგებულია ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ასეთი გზა, რათა ის განსხვავებულ კლიმატურ პირობებში გამოიცადოს.

ჯერჯერობით მასალის დახვეწაზე მუშაობა არ დასრულებულია, რადგან მასაც აქვს სერიოზული მინუსი – ჩვეულებრივი გზის საფარისგან განსხვავებით, ძალიან მალე ცვდება.

***wordscience.org***

## ახალი აბი ნებისმიერ ადამიანს ვარჯიშის ფანატად გადააქცევს



– რა აბია ამისთანაო, – ალბათ, იფიქრებთ და რადგან ორაზროვნად ჟღერს ეს კითხვა, მოდით, ცოტა უფრო კორექტულად ვთქვათ – რა სახის აბზეა საუბარი? ჰო, ასე სჯობია ნამდვილად...

საქმე ისაა, რომ შვეიცარიელმა მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატი, რომელიც ადამიანის მოძრაობას მნიშვნელოვნად ააქტიურებს. აბი უკვე გამოცდილია ლაბორატორიულ თაგვებზე – მისი წყალობით, სისხლში გაცილებით დიდი რაოდენობით ჰორმონი ერითროპოეტინი გამოიყო, რამაც მღრღნელები უფრო სწრაფები და აქტიურები გახადა.

დაგვეთანხმებით, სიახლე ძალიან დროულია. ეფექტურობის შემთხვევაში, პრეპარატი გაიმარჯვებს ჰიპოდინამიაზე, ანუ მოძრაობისა და ფიზიკური აქტიურობის დაქვეითებაზე, რაც კაცობრიობის უდიდესი პრობლემაა. ამის ლოგიკური შედეგი კი ის იქნება, რომ გადაწყდება სიმსუქნის პრობლემაც, რომლის მსხვერპლი სულ უფრო ბევრი ადამიანი ხდება.

ციურიხის უნივერსიტეტის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ჰორმონი ერითროპოეტინი მნიშვნელოვნად ამაღლებს მოტივაციას ვარჯიშებისადმი, ზოგადად, დადებითად მოქმედებს განწყობაზე და ამდენად, იგი დეპრესიის მქონე ადამიანებისთვის მისწრება იქნება. ერთი ეგ არის, ის აღარ კონკრეტდება, როდის უნდა ველოდოთ ახალი აბების ბაზარზე გამოჩენას.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***myjane.ru***


**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. ხელფასი 800 ლარი დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**


## ჰოროსკოპი

*ვერძი 21.03-21.04*

**2 მაისი:** მოქმედებების თქვენეული მანერა შთაბეჭდილებას ნებისმიერზე მოახდენს, მაგრამ ღირს კი ეს ეფექტი იმ ძალისხმევად, რომელსაც ამაში ხარჯავთ? ცოტა მოდუნდით.

*კურო 22.04-21.05*

**2 მაისი:** ამა თუ იმ სახით, აღიარება ყველას სიამოვნებს. ამიტომ ვინმეს შექება არ დაგეზაროთ, მით უმეტეს, იმ ადამიანების, ვისთანაც ხშირად გიწევთ ურთიერთობა. თუნდაც, ისინი ამას არ იმსახურებდნენ.

*ტყუპები 22.05-21.06*

**2 მაისი:** მოვლენებს ჯერ მთლიანობაში შეხედეთ და მხოლოდ ამის შემდეგ დააკვირდით დეტალებს. გადაწყვეტილების მიღება ასე უფრო გაგიადვილდებათ.

*კირჩხიბი 22.06-22.07*

**2 მაისი:** შესაძლოა, საკუთარ ძალებს და შესაძლებლობებს სათანადოდ არ აფასებთ. კარი ღიაა, უბრალოდ, ნებისყოფა მოიკრიბეთ და შეაბიჯეთ.

*ლომი 23.07-22.08*

**2 მაისი:** ენერგია მოგემატებათ და თუ არსებულ სიტუაციას გააანალიზებთ, დარწმუნდებით, რომ მონდომების შემთხვევაში დღეს ბევრი რამის გაკეთებას შეძლებთ.

*ქალწული 23.08-22.09*

**2 მაისი:** ყველაზე ჩვეულებრივი რამეც კი, უჩვეულოდ გეჩვენებათ, როცა ეს თქვენს თავს ხდება. დღეს სწორედ ასეთი განცდაა მოსალოდნელი. არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნება.

*სასწორი 23.09-22.10*

**2 მაისი:** მზად იყავით, პირად ურთიერთობებთან დაკავშირებით რთული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. თქვენი ზოგიერთი გამონათქვამი და ქმედება თავადაც გაგაოცებთ.

*მორიელი 23.10-21.11*

**2 მაისი:** შეეცადეთ, ეს დღე საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დაუთმოთ. თუ დღეს ამაზე დროს დაინანებთ, მომავალში ბევრად მეტი დრო დაგეხარჯებათ.

*მშვილდოსანი 22.11-21.12*

**2 მაისი:** არცთუ სასიამოვნო პერსპექტივა გელით. მთელი დღე უსიამოვნო პერსონებისგან შემოტევა გელით, საღამოს კი, შეიძლება ისეთ ადამიანთან ერთად აღმოჩნდეთ, ვინც ძალიან გაღიზიანებთ.

*თხის რქა 22.12-19.01*

**2 მაისი:** დიდია ალბათობა, რომ დღეს სადაც არ უნდა მოხვდეთ, ყურადღების ცენტში აღმოჩნდეთ. შეიძლება ეს მაშინ ხელის შემშლელიც აღმოჩნდეს.

*მერწყული 20.01-18.02*

**2 მაისი:** დღეს ძალიან მოგინდებათ გასეირნება და ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანების სიმრავლე არ იქნება.

*თევზები 19.02-20.03*

**2 მაისი:** შეიძლება დღეს უსიამოვნო ჭორები მოისმინოთ. მათში საფუძვლიანი ქექვა მოგიწევთ, თუ გინდათ გაიგოთ, სინამდვილეში რა როგორ მოხდა.


გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან



**ირმა სიხარულიძე – უებარი მკურნალი**

ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართე, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობითა და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდსა და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

*მადლიერი პაციენტები*

**ქალბატონი ირმას კოორდინატები:**

**მის:** თბილისი, ფოთის ქ. №2 (მეტრო „წერეთელთან“)

**ტელ:** 557 35 89 00; 551 50 89 07


## წყლის გარეშე ტვინი იღუპება



დალიეთ წყალი, თანაც, ძალიან ხშირად, რადგან სითხის ნაკლებობა ტვინის მოცულობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

აღნიშნული დასკვნა ინგლისელ მეცნიერებს ეკუთვნით, რომლებიც განმარტავენ, წყლის გარეშე სულ რაღაც 1,5-საათიან დატვირთვასაც კი ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდი უსიამოვნების მოტანა შეუძლია, რასაც, საბოლოო ჯამში, აზროვნების დაქვეითებაც მოჰყვება. რატომ?

ბრიტანელების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ წყლის უკმარისობის გამო, ადამიანის თავის ტვინს უხდება ზედმეტად ბევრი სამუშაოს ჩატარება, რათა ესა თუ ის ინფორმაცია გადაამუშაოს და აღიქვას.

– იმისთვის, რომ ტვინის მუშაობის პროცესი არ შეფერხდეს, ერთი ჭიქა წყალიც კი საკმარისია თუნდაც ყოველ საათში ერთხელ, – ასეთია სპეციალისტების რჩევა, რომელსაც, იმედია, აუცილებლად გაითვალისწინებთ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***myjane.ru***



დამწყები მძარცველი სახლში შეიპარა, სადაც პატარა ბავშვი დახვდა.

– დედიკო და მამიკო სახლშია?

– არა.

– კარგი! მიდი, წყალი მომიტანე, ძალიან მწყურია!

გაცუნცულდა ბავშვი, მძარცველი კი ფიქრობს, სანამ პატარა დაბრუნდება, სახლს კარგად დავათვალიერებო, მაგრამ რად გინდა – ჭიქით ხელში ბავშვი ეგრევე შემობრუნდა. რა ექნა ქურდს, გამოცალა ჭიქა და კიდევ მოატანინა. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

მეხუთედ ბავშვმა გააპროტესტა:

– ბიძია, მეტს ველარ მოგიტან. ონკანს მე ვერ ვწვდები და უნიტაზში კი წყალი სულ გამოილია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ››› 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**



გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.35